გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 78
(11 432)

3 – 5 ოქტომბერი, 2000 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ზაფხულის XXVII ოლიმპიური თამაშები

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი თენგიზ გაჩეჩილაძე სიდნეიდან გვატყობინებს:



## ედუარდ შევარდნაძის ორშაბათის ტრადიციული რადიოინტერვიუდან

*სიდნეიში უკვე დამთავრდა XXVII ოლიმპიური თამაშები. ჩვენმა სპორტსმენებმა 6 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. როგორ შეაფასებდით ქართველების ამ გამოსვლას?*

— თავისთავად ის ფაქტი, რომ ოლიმპიადაზე ექვსჯერ აღიმართა საქართველოს დროშა, ეს უდავოდ სერიოზული წარმატებაა და, სიმართლე გითხრათ, მეამაყება, რომ ქართველმა ოლიმპიელებმა ვაჟკაცურად იბრძოლეს. მათ მოსამზადებლად ქვეყანამ ის მაქსიმუმი გააკეთა, რისი შესაძლებლობაც ჰქონდა დღევანდელ პირობებში. დავიხმარეთ ჩვენი მეგობარი სახელმწიფოებიც და, ალბათ, როცა ჩამოვა ჩვენი დელეგაცია, ამაზე სპეციალური ლაპარაკი გვექნება. თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, მცირედია იმასთან შედარებით, რასაც სხვა ძლიერი და მდიდარი სახელმწიფოები ხარჯავენ სპორტულ ასპარეზზე წარმატების მისაღწევად, მაგრამ საქართველოს სპორტული დელეგაცია სიდნეიში ბევრ მათგანზე გაცილებით უკეთესად გამოვიდა. მინდა მადლობა ვუთხრა ქართველ ათლეტებს პატრიოტიზმისა და ვაჟკაცური შემართებისათვის. დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით მოპოვებული, თუნდაც, ბრინჯაოს მედალი, მაინც განსაკუთრებული ელვარებისაა. მით უმეტეს, ექვს მედალზეა ლაპარაკი — ეს ხომ ცოტა არ არის! შეადარეთ ეს შედეგი წინა ოლიმპიადაზე მიღებულ მაჩვენებელს. მინდა მადლობა ვუთხრა აგრეთვე ათეულობით ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონს, ბრწყინვალე სპორტსმენებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის სახელით ასპარეზობდნენ, სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი ქართულ სპორტულ ტრადიციებს.

## ქვეყნები და მედლები

| ქვეყანა | ოქრო | ვერცხ. | ბრინჯ. | სულ | ქვეყანა | ოქრო | ვერცხ. | ბრინჯ. | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 39 | 25 | 33 | 97 | 42. ლატვია | 1 | 1 | 1 | 3 |
| 2. რუსეთი | 32 | 28 | 28 | 88 | 43. იუგოსლავია | 1 | 1 | 1 | 3 |
| 3. ჩინეთი | 28 | 16 | 15 | 59 | 44. ბაგამის კუნძ. | 1 | 1 | 0 | 2 |
| 4. ავსტრალია | 16 | 25 | 17 | 58 | 45. ახალი ზელანდია | 1 | 0 | 3 | 4 |
| 5. გერმანია | 14 | 17 | 26 | 57 | 46. ტაილანდი | 1 | 0 | 2 | 3 |
| 6. საფრანგეთი | 13 | 14 | 11 | 38 | 47. ესტონეთი | 1 | 0 | 2 | 3 |
| 7. იტალია | 13 | 8 | 13 | 34 | 48. ხორვატია | 1 | 0 | 1 | 2 |
| 8. ნიდერლანდები | 12 | 9 | 4 | 25 | 49. კამერუნი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 9. კუბა | 11 | 11 | 7 | 29 | 50. კოლუმბია | 1 | 0 | 0 | 1 |
| 10. დიდი ბრიტან. | 11 | 10 | 7 | 28 | 51. მოზამბიკი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 11. რუმინეთი | 11 | 6 | 9 | 26 | 52. ბრაზილია | 0 | 6 | 6 | 12 |
| 12. კორეა | 8 | 9 | 11 | 28 | 53. იამაიკა | 0 | 4 | 3 | 7 |
| 13. უნგრეთი | 8 | 6 | 3 | 17 | 54. ნიგერია | 0 | 3 | 0 | 3 |
| 14. პოლონეთი | 6 | 5 | 3 | 14 | 55. ბელგია | 0 | 2 | 3 | 5 |
| 15. იაპონია | 5 | 8 | 5 | 18 | 56. სამხ. აფრ. რესპ. | 0 | 2 | 3 | 5 |
| 16. ბულგარეთი | 5 | 6 | 2 | 13 | 57. არგენტინა | 0 | 2 | 2 | 4 |
| 17. საბერძნეთი | 4 | 6 | 3 | 13 | 58. მაროკო | 0 | 1 | 4 | 5 |
| 18. შვედეთი | 4 | 5 | 3 | 12 | 59. ტაივანი | 0 | 1 | 4 | 5 |
| 19. ნორვეგია | 4 | 3 | 3 | 10 | 60. კსდრ | 0 | 1 | 3 | 4 |
| 20. ეთიოპია | 4 | 1 | 3 | 8 | 61. მოლდავეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 21. უკრაინა | 3 | 10 | 10 | 23 | 62. საუდის არაბეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 22. ყაზახეთი | 3 | 4 | 0 | 7 | 63. ტრინიდადი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 23. ბელორუსია | 3 | 3 | 11 | 17 | 64. ვიეტნამი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 24. კანადა | 3 | 3 | 8 | 14 | 65. ირლანდია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 25. ესპანეთი | 3 | 3 | 5 | 11 | 66. ურუგვაი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 26. ირანი | 3 | 0 | 1 | 4 | **67. საქართველო** | 0 | 0 | 6 | 6 |
| 27. თურქეთი | 3 | 0 | 1 | 4 | 68. კოსტა-რიკა | 0 | 0 | 2 | 2 |
| 28. ჩეხეთი | 2 | 3 | 3 | 8 | 69. პორტუგალია | 0 | 0 | 2 | 2 |
| 29. კენია | 2 | 3 | 2 | 7 | 70. სომხეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 30. დანია | 2 | 3 | 1 | 6 | 71. ბარბადოსი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 31. ფინეთი | 2 | 1 | 1 | 4 | 72. ისრაელი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 32. ავსტრია | 2 | 1 | 0 | 3 | 73. ინდოეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 33. ლიტვა | 2 | 0 | 3 | 5 | 74. ისლანდია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 34. აზერბაიჯანი | 2 | 0 | 1 | 3 | 75. კატარი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 35. სლოვენია | 2 | 0 | 0 | 2 | 76. ყირგიზეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 36. შვეიცარია | 1 | 6 | 2 | 9 | 77. კუვეიტი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 37. ინდონეზია | 1 | 3 | 2 | 6 | 78. მაკედონია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 38. სლოვაკეთი | 1 | 3 | 1 | 5 | 79. ჩილი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 39. მექსიკა | 1 | 2 | 3 | 6 | 80. შრი-ლანკა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 40. ალჟირი | 1 | 1 | 3 | 5 | | | | | |
| 41. უზბეკეთი | 1 | 1 | 2 | 4 | ს უ ლ | 301 | 299 | 328 | 928 |

## მედლების რაოდენობით საქართველომ 34-ე ადგილი დაიკავა

*მაშ ასე, XXVII ოლიმპიადა ისტორიის კუთვნილებად იქცა. კვირას სიდნეის ოლიმპიურ სტადიონზე მისი დახურვის საზეიმო ცერემონიალი მოეწყო. სიდნეის მერმა ოლიმპიური დროშა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ხუან ანტონიო სამარანჩს გადასცა, რომელმაც იგი ათენის მერს გადააბარა — მომავალი, 2004 წლის მასპინძელ ქალაქს.*

*სიდნეიში მოპოვებული 6 ბრინჯაოს მედლით საქართველოს ოლიმპიელებმა 34-ე ადგილი დაიკავეს. მედლების რაოდენობით ქართველებმა უკან ჩამოიტოვეს ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ლიტვა, სლოვაკეთი, ბელგია, ირანი, თურქეთი, უზბეკეთი, არგენტინა, აზერბაიჯანი, ლატვია, ესტონეთი, სომხეთი და სხვ.*

*მიუხედავად ამ შედეგისა გული გვწყდება, ჩვენები ოლიმპიური ოქროს გარეშე ბრუნდებიან: იღბალსა და მსაჯებს რომ არ ემუხლთათ, ეს ამოცანაც შესრულებული იქნებოდა.*

# შინ ექვსი ოლიმპიური მედლით

## ვიასპარეზებთ ათენში უფრო უკეთ, ვიდრე სიდნეიში!



ელდარ კურტანიძე

გასულ კვირა დილით კიდევ ერთი, რიგით მეშვიდე ბრინჯაოს მედლის მოპოვების ერთადერთი იმედი თავისუფალი სტილით მოჭიდავე დავით პოლოსიანი იყო. ამ მოჭიდავეს კენჭისყრით არ გაუმართლა. იგი ნახევარფინალში გასვლისთვის ძლიერ სლოვაკელ ფალავანს შეეჭიდა და დამარცხდა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში პოლოსიანმა ქულებით წააგო ამერიკელ მოჭიდავესთან, მე-5 ადგილისათვის კი – პორტუგალიელ ფალავანთან. ასე რომ, ელდარ კურტანიძის მეექვსე ბრინჯაოს მედალი ჩვენი დელეგაციისათვის ბოლო აღმოჩნდა.

სიმართლე გითხრათ, აქ, ოლიმპიადაზე ელდარ კურტანიძისაგან ოქროს მედალს ველოდით, მაგრამ მეტოქე და მსაჯები აშკარად არასპორტული მეთოდებით შეებრძოლნენ – რუსეთის სახელით მოასპარეზე მურთაზ ალიევმა მეოთხედფინალურ შეხვედრაში ყველა დაშვებული და დაუშვებელი ხერხი იხმარა ქართველი ფალავნის წყობილებიდან გამოსაყვანად – ჯერ გაშლილი ხელით სილა გააწნა და სისხლი ადინა, მერე ჩოქბჯენში კინაღამ თვალი გამოსთხარა.. სანამ ექიმი კურტანიძეს სისხლს წმენდდა, მსაჯებმა „მოითათბირეს" და, როცა ყველას ეგონა, რუსეთელი გაფრთხილებას მაინც მიიღებდა, ჭიდაობის გაგრძელება ბრძანეს. ამ შეხვედრის შემდეგ კურტანიძემ ბრინჯაოს მედლისათვის ბრძოლაში პოლონელი ტამულევიჩი დაამარცხა 4:1. დრო რომ ამოიწურა, კურტანიძე მუხლებზე დაეცა და საჭიდაო ლეიბს აკოცა – ასე გამოხატა ჩვენებურმა მედლის მოპოვება.

შესანიშნავად იჭიდავა პირველი შეხვედრა ალექსი მოდებაძემ, მაგრამ შემდეგ არ გაუმართლა და ბრძოლას გამოეთიშა.

ორშაბათს, საღამოს, საქართველოს დელეგაციამ სიდნეი დატოვა და მელბურნში ჩავიდა სინგაპურ-ბაჰრეინ-საბერძნეთის გავლით 5 ოქტომბერს თბილისში ჩამოვა.

იხ. მე-2 გვ.



## გზა დაგვილოცნია!

დღეს დილით ლიტვას გაემგზავრებიან საქართველოს ფეხბურთელთა ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრები გუნდები, რომლებსაც დიდი ბრძოლები ელით მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ მატჩებში ლიტვასა და მერე იტალიაში. წარმატებას ვუსურვებთ!

სამწუხაროდ, ტრავმების გამო ჩვენს ნაკრებს ბოლო მომენტში დააკლდნენ შოთა არველაძე და ზაზა ჯან აშია.

## ქართველი ჭაბუკი მსოფლიო ჩემპიონს მისსავე კედლებში ამარცხებს და თბილისში გამარჯვებულის ქამრით ჩამოდის

ამ დღეებში უელსში ჩატარდა შეხვედრა კიკბოქსინგში მსოფლიო ტიტულის მოსაპოვებლად პროფესიონალთა შორის 62 კგ წონით კატეგორიაში, პრეტენდენტ 18 წლის ***გიორგი ჩაკვეტაძესა*** და ამ ტიტულის მფლობელ 30 წლის უელსელ პაულ დავიესს შორის.



გიორგი ჩაკვეტაძე

ეს პირველი შემთხვევაა ქართული სპორტის ისტორიაში, როცა ქართველმა სპორტსმენმა მსოფლიო ტიტულის მოსაპოვებლად პროფესიონალთა შორის მიიღო მონაწილეობა. გიორგი სამოყვარულო სპორტში ორჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, ეს იყო ძირითადი მიზეზი მისი მიწვევისა ასეთი რანგის შეხვედრაზე.

12-რაუნდიანი ორთაბრძოლა ძალიან საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა, პირველი სამი რაუნდი საკუთარი გულშემატკივრების ძალიან ძლიერი მხარდაჭერით პ. დავიესის შეტევებით მიმდინარეობდა, გიორგი ამისთვის მზად იყო და ღირსეულად დახვდა მოწინააღმდეგეს, მე-6 რაუნდში ძლიერი დარტყმის შემდეგ პაული ნოკდაუნში აღმოჩნდა, მეთორმეტე რაუნდშიც იგივე განმეორდა, ობიექტური მაყურებელი ტაშის გრიალით შეხვდა გიორგის გამარჯვებას, მას „ბრილიანტის ბიჭი" შეარქვეს. სპეციალისტებიც ერთხმად აღნიშნავდნენ გიორგის ტექნიკას – ასეთი საინტერესო და დაძაბული შეხვედრა იშვიათად გვინახავსო. ასე, რომ, 18 წლის ქართველმა სპორტსმენმა პროფესიონალთა საჩემპიონო ქამარი თბილისში ჩამოიტანა, იმედია საქართველოში ჯეროვნად დაფასდება გიორგის ასეთი დიდი მიღწევები. სამწუხაროდ, უელსიდან თბილისში გადმოფრენის დროს დაიკარგა გიორგის საჩუქარი „მუსიკალური" ცენტრი, „აირზენას" წარმომადგენლები შეპირდნენ გიორგის და მის მწვრთნელს, იმავდროულად საქართველოს ტაიბოქსისა და კიკბოქსინგის ფედერაციის პრეზიდენტს გოჩა ჯავახიას, რომ უცხოელთა საჩუქარს მალე მოვძებნითო.

# Sydney 2000



1 ოქტომბერს ოლიმპიადა საზეიმოდ დაიხურა

# ოლიმპიური დღიური

**29 სექტემბერი**
## ქართველებმა რა ჰქნეს?

**თავისუფალი ჭიდაობა**
ელდარ კურტანიძემ (97 კგ) მეოთხედფინალში ირანელი ალირეზა ჰეიდარი დაამარცხა, ხოლო ნახევარფინალში ქულებით წააგო რუსეთელ საგიდ მურთაზალიევთან. მოიგეს პირველი ბრძოლები დავით პოლოსიანმა (58 კგ) და ალექსი მოდებაძემ (130 კგ). საკლასიფიკაციო ჯგუფიდან ვერ გავიდა და ასპარეზობას გამოეთიშა ემზარ ბედინეიშვილი (69 კგ).

**მხატვრული ტანვარჯიში:** ინგა თავდიშვილმა მრავალჭიდში (24 მონაწილე) 21-ე ადგილი დაიკავა.

**მძლეოსნობა**
ვაჟები. 50 კმ. სიარული. 1. რობერტ კორჟენიოვსკი (პოლონეთი). 3000 მ. წინაღობებით. 1. რუბენ კოსგეი (კენია). 1500 მ. ნოა ნგენი (კენია). **ჭოკით ხტომა** 1. ნიკ ჰაისინგი (აშშ). *ქალები.* **ურო.** 1. კამილა სკოლიმოვსკა (პოლონეთი). **სიგრძეზე ხტომა.** 1. ჰაიკე დრექსლერი (გერმანია).

**ბალახის ჰოკეი**
*ქალები.* 1. ავსტრალია, 2. არგენტინა, 3. ჰოლანდია.

**სინქრონული ცურვა.** გუნდური. 1. რუსეთი, 2. იაპონია, 3. კანადა.

**აფროსნობა**
*ქალები.* „ევროპა". 1. შირლი რობერტსონი (დიდი ბრიტანეთი). *ვაჟები.* „ლაზერი". 1. ბენ ვინსლი (დიდი ბრიტანეთი).

**ტაეკვანდო**
*ქალები.* 67 კგ 1. ლი სუნ ჰეე (კორეა). *ვაჟები.* 80 კგ. 1. ანხელ ვალოდია ფუენტესი (კუბა).

**ფეხბურთი**
*ვაჟები.* მატჩი მე-3 ადგილისათვის. ჩილე — აშშ 2-0 (სამორანო, 69 პენ., 84). *ქალები.* ფინალი: ნორვეგია — აშშ 3-2 დ.დ. (ძირითადი დრო 1-1). მე-3 ადგილისათვის: გერმანია — ბრაზილია 2-0.

**კალათბურთი**
*ვაჟები.* ნახევარფინალი. აშშ — ლიტვა 85:83, საფრანგეთი — ავსტრალია 76:52. ფინალში გავიდნენ აშშ და საფრანგეთი.
*ქალები.* ნახევარფინალი. აშშ — კორეა 78:65, ავსტრალია — ბრაზილია 64:52. ფინალი აშშ — ავსტრალია.

**30 სექტემბერი**
## ქართველებმა რა ჰქნეს?

**თავისუფალი ჭიდაობა:** ელდარ კურტანიძემ მესამე ადგილისათვის ბრძოლაში დაამარცხა პოლონელი მარეკ გარმულევიჩი (4:1).

**ფეხბურთი**
*ვაჟები.* ფინალი: კამერუნი — ესპანეთი 2-2 (5-3).

**კალათბურთი**
*ქალები.* ფინალი: აშშ — ავსტრალია 76:54. მე-3 ადგილისათვის: ბრაზილია — კორეა 65:65 (84:73).

**ბალახის ჰოკეი**
*ვაჟები.* ფინალი: ჰოლანდია — კორეა 3:3 (5:4 პენალტებით). მე-3 ადგილისათვის: ავსტრალია — პაკისტანი 6:3.

**ფრენბურთი**
*ქალები.* ფინალი: კუბა — რუსეთი 3:2. მე-3 ადგილისათვის: ბრაზილია — აშშ 3:0.

**წყალბურთი**
ვაჟები. საკვალიფიკაციო მატჩები: ავსტრალია — იტალია 4:8, ხორვატია — აშშ 8:9 (V ადგილისათვის შეხვდებიან იტალია — აშშ), VII ადგილისათვის — ავსტრალია — ხორვატია). ნახევარფინალები: იუგოსლავია — უნგრეთი 7:8, ესპანეთი — რუსეთი 7:8. ფინალში გავიდნენ უნგრეთი და რუსეთი.

**ხელბურთი**
*ვაჟები.* ფინალი: რუსეთი — შვედეთი 28:26, მე-3 ადგილისათვის: ესპანეთი — იუგოსლავია 26:22.

**კრივი**
ფინალები. *91 კგ.* 1. სავონი (კუბა), 2. იბრაჰიმოვი (რუსეთი); *75 კგ:* 1. გუტიერესი (კუბა), 2. გიადარბეკოვი (რუსეთი); *67 კგ:* 1. საიტოვი (რუსეთი), 2. დოცენკო (უკრაინა).



ვალერი სარავა



ალექსანდრე ცერცვაძე



გურამ მჭედლიძე

## საქართველომ კიდევ სამი სპორტსმენი დაკარგა – სარავა, ცერცვაძე და მჭედლიძე ავსტრალიაში დარჩნენ

მწარე რეალობაა, მაგრამ ფაქტია — სპორტსმენი, რაოდენ დიდი პატრიოტიცა და მამულიშვილი არ უნდა იყოს, დღეს ხშირად მიდის იქ, სადაც უკეთეს ანაზღაურებას სთავაზობენ. ეტყობა, ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა და ავსტრალიელებმა ჩვენს სპორტსმენებს უკეთესი პირობები აღუთქვეს.

გუშინ, სიდნეიდან გამომგზავრებულმა საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ სამი წევრი მოისაკლისა. ესენია: წყალტუბოელი ძალოსანი, 22 წლის ***ვალერი სარავა,*** უცოლშვილო; ქუთაისელი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე, 23 წლის ***ალექსანდრე ცერცვაძე,*** უცოლშვილო. ტყვარჩელელი თავისუფალი სტილით მოჭიდავე, 28 წლის ***გურამ მჭედლიძე,*** ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.









*კროსში გამარჯვებულები: გოგონებში — ელიკო ხარიაშვილი, ვაჟებში — ნოდარ მეტრეველი.*





**სპორტის დღეს მიეძღვნა**

# როცა საქმეს გულით ეკიდები

არის შემთხვევები, როცა დადგენილებები და განკარგულებები ფარატინა ქაღალდად იქცევა და მათ შესრულებაზე ნაკლებად ზრუნავენ. საბედნიეროდ, საქართველოს პრეზიდენტის 1977 წლის 28 სექტემბრის №471 განკარგულებას სპორტში მოსახლეობის ფართო ფენების მოზიდვის, ჯანმრთელობის განმტკიცებისა და სპორტულ-მასობრივი მუშაობის გააქტიურების ხელშეწყობის მიზნით „სპორტის დღის" დაწესების შესახებ, ზედმიწევნითი შესრულება ელოდა. წელს ეს თარიღი 1 ოქტომბერს აღინიშნა.

დაპირებისამებრ, მაღალორგანიზებულად აღნიშნა „სპორტის დღე" ქ. თბილისის მერიის სპორტის და ტურიზმის საქალაქო სამსახურმა. დილის 11 საათზე, ღრუბლიანი, ცივი ამინდის მიუხედავად, დაიწყო ტურისტული ლაშქრობა თბილისი — კუს ტბა (იხ. ფოტო №1), რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დედაქალაქის მოსწავლე-ახალგაზრდობამ და სტუდენტობამ. კუს ტბის გარშემო იასპარეზეს კროსმენებმა (ფოტო №2), გაიმართა შეჯიბრებები ბაგირის გადაძალვაში (ფოტო №3), სიმძიმეების აწევაში (ფოტო №4), საჭილდაო ქვის აწევაში, მკლავჭიდში, საინტერესოდ აღნიშნეს „სპორტის დღე" აკრობატებმა და ტანმოვარჯიშეებმა.

*ელდარ მალხაზიშვილის ფოტორეპორტაჟი*

# ...უამინდობა რომ არ

ჩვეულებრივ, საქართველოს სპორტის დღისადმი მიძღვნილ ასპარეზობებს ქართული ჭიდაობა ამშვენებს, რომელიც თბილისის ყველაზე ხალხმრავალ უბან დიდუბეში, კერძოდ, „აკაკის ბაღში" ღია ცის ქვეშ იმართება და უამრავ მაყურებელს იზიდავს, ფალავნების შერკინებას აშკარად არ აკლია ქომაგობა და ის ჩვეული შეძახილი „იყო, არ იყო"... შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი ღია პირველობის სტატუსითაა, რომელიც დიდუბის რაიონის გამგებლობამ, მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახურმა და დიდუბის სპორტკომიტეტმა „აჩუქეს" თბილისელებს, მათ სტუმრებს და უკვე ხუთწლიან ისტორიას ითვლის. ამ საჭიდაოზე არაერთ ცნობილ მოჭიდავეს გამოუცდია მკლავის ძალა. მათ შორის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების გამარჯვებულებს სამბოსა და ძიუდოში. დიდუბის ღია პირველობის ჩემპიონები იყვნენ გიორგი წმინდაშვილი, ზაზა გულბანი, ალექსი დავითაშვილი, აწგარდაცვლილი მსოფლიო ჩემპიონი ვანო გამხიტაშვილი და სხვა...

მოჭიდავეებს არც ამჯერად „გაუტეხიათ პირი" და მათი გამოსვლები ჩვენს მადლიან „ქართულში" კვლავ დაამშვენებდა ამ დღის ზეიმს, მაგრამ, უამინდობა „ჩაერია საქმეში" და ფალავნებმა პოლიტექნიკური კოლეჯის ჭერქვეშ დაიდეს საჭიდაო, რომელსაც, რაღა, თქმა უნდა, მაყურებელთა იმ რაოდენობას რომ სჩვევია, ვერ დაიტევდა. თავად ორთაბრძოლებს კი დაძაბულობა და მიზიდულობა არ აკლდა, ამიტომაც ის მცირე აუდიტორია თავიდან ბოლომდე დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს შერკინებებს.

60 კგ წონით კატეგორიაში პირველსავე შეხვედრაზე ცხადი გახდა, რომ 1997-98 წლების გამარჯვებული, ქარელელი მამუკა მაზმიშვილი შარშან დაკარგული ფალავნობის დასაბრუნებლადაა ჩამოსული და ჯერ პირველივე ბრძოლაში ქერიკიშვილთან 3.10 წამში წმინდა გამარჯვების შემდეგ დიდუბელ ლ. ხანიშვილს სძლია ქულებით, ნახევარფინალში კი ა. გელხაურს წმინდად მოუგო 1 წუთსა და 20 წამში, ფინალში კასპელი დავით ქოთოლაშვილი დაჯაბნა და დაიბრუნა ჩემპიონობა. მოხდენილად იჭიდავა ბოლომდე და მიიპყრო ყურადღება რუსთაველმა გიორგი დარძულმა (80 კგ). ასევე გააგრძელა მან ფინალური შეხვედრა გლდანელ ზურაბ კობერიძესთან და და მოიპოვა პირველობა.

გამარჯვებულები და პრიზიორები რაიონის გამგეობამ პრიზებით დააჯილდოვა.

**ქვარცხლბექი.** ***60 კგ.*** 1. გ. მაზმიშვილი (ქარელი), 2. დ. ქოთოლაშვილი (კასპი), 3. ვ. ბერუაშვილი (რუსთავი); ***70 კგ.*** 1. ზ. დოლონაძე (ქარელი), 2. ი. ქოთოლაშვილი (თბილისი), 3. მ. ბალაშვილი (თბ); ***80 კგ.*** 1. გ. დარძული (რუსთ.), 2. ზ. კობერიძე (გლდანი), 3. ზ. მუზაშვილი (კასპი). ***90 კგ.*** 1. ა. ზვიადაური (დიდუბე), 2. გ. ჩადუნელი (დიდ.), 3. გ. შუბითიძე (რუსთ.); ***+90 კგ.*** 1. ზ. ჩინჩალაძე, 2. დ. დარძული (რუსთავი), 3. დ. მელაძე (დიდ.).

**ჯ. უნგიაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა. VII ტური

## გამარჯვება უხერხულ მეტოქესთან

თბილისი. ბორის პაიჭაძის ეროვნული სტადიონი.

**დინამო (თბილისი) კოლხეთი – 1913 (ფოთი) 3-2.**

**დინამო:** გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, ვაშაკიძე, შელია, ა. სახვაძე, შაშიაშვილი (ზამთარაძე, 46), ჯინჭარაძე, დათვაძე (რუხაძე, 79), სიჭინავა, გადელია (ზირაქიშვილი, 79), კ. გოგოლაძე.

**კოლხეთი:** მ. გვასალია, ტორჩინავა, გოროზია, პაპავა, ფანჩულიძე, კიკლიაშვილი, ღლანიძე, ე. გვასალია (მაღლაკელიძე, 46), კვირკველია (რ. ახალკაცი, 15), შაუგულიძე, ხუჭუა.

*გოლები:* 0-1 ღლანიძე (6), 1-1 შელია (47), 2-1 სიჭინავა (54, პენ.) 2-2 ხუჭუა (60), 3-2 ზამთარაძე (79).

*გააფრთხილეს:* დათვაძე, ხუჭუა.

*მსაჯი:* დავით სანაია (სოხუმი).

მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ფოთელთა თავკაცი სოსო ფილია თავისი გუნდის მარცხს ასე ახსნის. „დასაწყისშივე დავწინაურდით და ამან დათვური სამსახური გაგვიწია — ძალიან ვფრთხილობდით და ანგარიშის შენარჩუნებაზე უფრო ვფიქრობდით". დიახ, ეს ნამდვილად ასე იყო: საჯარიმო დარტყმიდან ღლანიძის შეგდებულმა გოლმა ფოთელები მოადუნა და თავდასხმაში ისე აგრესიულად ვერ ირჯებოდნენ, როგორც მატჩის დასაწყისში. თბილისელები ბევრს ეცადნენ, წვიმიან ამინდში შორიდანაც არაერთხელ მოსინჯეს სტუმართა კარის დარაჯის სიფხიზლე, მაგრამ ამაოდ. ანგარიშის გათანაბრება „დინამომ" მხოლოდ მეორე ტაიმის დასაწყისში მოახერხა — მორიგი კუთხურის ჩამოწოდებისას, ეს თავურით შეძლო წინ წასულმა მურთაზ შელიამ. თბილისელთა უპირატესობა ამის შემდგომაც იგრძნობოდა, რაც ანგარიშში აისახა კიდევაც — 3-2.



ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ელდარ მალხაზიშვილმა სწორედ ის მომენტი გადაიღო „დინამო" – „კოლხეთის" მატჩში, როცა შელია ანგარიშს ათანაბრებს

## ბოლო რეპეტიცია...

შოთა ჭეიშვილის 18 წლამდელთა ნაკრები სანოემბრო შესარჩევი ტურნირისათვის ბოლო რეპეტიციას ბულგარეთში გაივლის. ორკვირიანი შეკრებისას ისინი 4 ამხანაგურ-საკონტროლო შეხვედრას გამართავენ ჩინეთისა და ბულგარეთის კლუბებთან. დაგეგმილია ბულგარელ თანატოლებთან თამაშიც. 14 ოქტომბერს ნაკრები შინ დაბრუნდება და მზადების პროგრამით, სავარაუდოდ გერმანიას, ან იტალიას მიაშურებს. 20-22 ნოემბერს კი შესარჩევი მატჩები ხორვატიაში გაიმართება, ჩვენთან და მასპინძლებთან ერთად იქ ესპანელებიც იქნებიან. აქამდე საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა ორ-ორი ამხანაგური მატჩი გამართა მეზობლებთან, სომხებთან და აზერბაიჯანელებთან. ორი მატჩი მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა და ერთიც წააგო. ბურთების შეფარდება 6-3.

## შეკრება „შევარდენზე"

„შევარდენის" სტადიონზე რუმინეთში შესარჩევი ტურნირისათვის შეკრებას გადის საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები. შესარჩევი მატჩები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად 8-10 ოქტომბერს ჩატარდება. პირველ მატჩში საქართველოს ნაკრები ალბანელებს შეხვდება, მეორეში მისი მეტოქე მასპინძელი რუმინეთი იქნება. გუნდი ბალკანეთში 5 ოქტომბერს გაემგზავრება. შემადგენლობა ასეთია: **მიხეილ მუჯრიშვილი, ზურაბ ექონია, გიგლა ახალაია, ლაშა ჭელიძე, იოსებ ქარსელაძე, დათო ჭიღლაძე, ირაკლი მალიჩავა, ირაკლი მაჭავარიანი, ირაკლი მოდებაძე, ოთარ მარცვალაძე, ვასილ ერემეიშვილი, ირაკლი თოთლაძე, ზაზა სახოკია, შალვა ფირცხალავა, თეიმურაზ ბურნაძე, შოთა კაშია, დავით გუგენაძე, მამუკა ლომიძე.**

## ტექნიკური შედეგები

**დინამო (ბთ) — ლოკომოტივი 1-2**

**დინამო:** ბედიაშვილი, მჟავანაძე, მინდაძე, პაპიძე, დარჩიძე, (თედორაძე, 81), ღლონტი, რომანაძე (კაკაბაძე, 83), გელა ქორიძე, აფხაზავა, ა. მუჯირი, ყულეჯიშვილი (ბეჟანიძე, 85).

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, აბრამიძე, თოდუა, გოგიჩაიშვილი, გ. კვარაცხელია, ჭიჭვეიშვილი, ლევან სილაგაძე, გონჩაროვი (პარამონოვი, 90), ხიზანიშვილი, რუსია (გილაური, 89).

*გოლები:* 0-1 რუსია (35), 1-1 ღლონტი (49), 1-2 რუსია (78).

*გაფრთხილება:* მუჯირი, პაპიძე, ჭიჭვეიშვილი.

*მსაჯი:* ა. შილაკაძე (თბილისი).

**თსუ — იბერია 1-0**

**თსუ:** გუგუნავა, ზვიად ლაბაძე, ხარებავა, ებრალიძე, სვანაძე, გოცირიძე, წუწუნავა (ბოკერია, 88), ახალაძე, ერაძე, ბ. ნოზაძე (არეშიძე, 25), ვადაჭკორია.

**იბერია:** ქვანია, გ. ნოზაძე, სანიკიძე, მიქელთაძე, ა. ხმალაძე, ჩიმაკაძე. (ყურაშვილი, 46), ზ. მეტრეველი (ონიანი, 82), ბიწაძე, ოდიკაძე, გიგიაძე, ვარდანიძე.

*გოლი:* 1-0 გოცირიძე (39).

*გაფრთხილება:* გიგიაძე, წუწუნავა, გოცირიძე.

*მსაჯი:* ა. შალამბერიძე (ქუთაისი).

**გორდა — ვიტ ჯორჯია 0-0**

**გორდა:** ნიკურაძე, ბაჩილავა, ბურნაძე, მელაძე, ზურაბ ლაბაძე, მიშველიძე, გაბელაია (მჭედლიძე, 74), ბუკია (მ. სახვაძე, 53), ლაშა სილაგაძე (კიტეიშვილი, 50), ბერიძე, ბექაური.

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, საჯაია, ჯ. მუჯირი, ჭანკოტაძე, კობიაშვილი, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, გვაზავა (დეკანოსიძე, 76), გიორგი ქორიძე, სულთანიშვილი (გოგიჩაიშვილი, 78), მელქაძე.

*გაფრთხილება:* ქორიძე.

*მსაჯი:* პ. დოგრაშვილი (ქუთაისი).

**სიონი — დილა 2-0**

**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, დიმიტრიშვილი (სვანიძე, 87), ვ. მაისურაძე, მოსეშვილი (დ. ჯაფარიძე, 86), ბარნოვი, სოლოღაშვილი, ისიანი (კ. მეტრეველი, 84), წიწვიაძე.

**დილა:** სოლოღაშვილი, აკოფიანი, გრიგალაშვილი, ლ. გოჩაშვილი, გაგნიძე, რევაზიშვილი, ფეზუაშვილი, დ. მაისურაძე (ლომიძე, 59), ხოხობაშვილი (ხორგუაშვილი, 65), კოტორაშვილი (საყვარელიძე, 79), ლ. ხმალაძე.

*გოლები:* 1-0 ვ. მაისურაძე (4), 2-0 ისიანი (76 პ.).

*გაფრთხილება:* დიმიტრიშვილი, რევაზიშვილი, ფეზუაშვილი, დ. მაისურაძე.

*გაძევება:* გოჩაშვილი.

*მსაჯი:* ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).

**ტორპედო — მერანი 2-1**

**ტორპედო:** ზოიძე, იონანიძე, კ. კვეტენაძე (ჩხაიძე, 71), თავბერიძე, შალამბერიძე, ჩხეტიანი, გუჩუა, ახვლედიანი, ასათიანი (შეყრილაძე, 81), იმედაძე (მახვილაძე, 87), ხვადაგიანი.

**მერანი:** დევაძე, გუჯაბიძე, ცქიფურიშვილი, დევიძე (ბაჯელიძე, 85), კაკუბავა, ჭინჭარაული, დ. გოდერძიშვილი, მუხინი, ხორხელი (თოლორდავა, 87), ბოლქვაძე, როსტიაშვილი, პოდლესნი.

*გოლები:* 0-1 გოდერძიშვილი (16), 1-1 იონანიძე (პ. 65), 2-1 იმედაძე (87).

*გაფრთხილება:* ჭინჭარაული, ბოლქვაძე.

*გაძევება:* თავბერიძე.

*მსაჯი:* მ. მალალურაძე (თბილისი).

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ტორპედო** | **7** | **7** | **0** | **0** | **12-2** | **21** |
| **ლოკომოტ.** | **7** | **6** | **0** | **1** | **19-4** | **18** |
| **ვიტ ჯორჯია** | **7** | **4** | **2** | **1** | **10-3** | **14** |
| **დინამო (თბ)** | **7** | **4** | **0** | **3** | **8-10** | **12** |
| **მერანი** | **7** | **3** | **2** | **2** | **11-9** | **11** |
| **გორდა** | **7** | **2** | **4** | **1** | **8-11** | **10** |
| თსუ | 7 | 3 | 0 | 4 | 10-13 | 9 |
| დილა | 7 | 2 | 1 | 4 | 6-12 | 7 |
| სიონი | 7 | 2 | 0 | 5 | 6-8 | 6 |
| კოლხეთი | 7 | 2 | 0 | 5 | 8-11 | 6 |
| დინამო (ბთ) | 7 | 2 | 0 | 5 | 7-12 | 6 |
| იბერია | 7 | 0 | 1 | 6 | 1-11 | 1 |

## ბავშვთა ლიგა

## უამინდობაში...

*ქუთაისი, განათლების სტადიონი*

**მართვე — თბილისი 1-1**

**მართვე:** გრიგოლ ნიქაბაძე, არჩილ ვარდანიძე, თამაზ რეხვიაშვილი, ირაკლი არჩვაძე, ლაშა შენგელია, ზურაბ ჩიხლაძე, ლაშა ვაშაკიძე, ამირან ცუცქირიძე, თემურ მჭედლიძე, თენგიზ სულაქველიძე, ომარ რუხაძე (ირაკლი ბერაძე 66).

**თბილისი:** ზურაბ ყვავაძე, გიორგი შვანგირაძე, შალვა პერანიძე, ოთარ როსტომაშვილი, ლევან ობგაიძე, აკაკი ჩხიკვაძე, (ალექსი ბზიკაძე 67), გიორგი ბურდილაძე, ლევან ხმალაძე, დათო ბობოხიძე, დავით ცირამუა, ვახტანგ გერსამია.

*გოლები:* 1-0, სულაქველიძე (პ20), 1-1 ჩხიკვაძე (45)

*მსაჯი:* ზვიად ერქვანია (ზუგდიდი)

*გაფრთხილება:* ირაკლი ბერაძე (69)

1 ოქტომბერს ქუთაისის „მართვემ" თბილისის „თბილისს" უმასპინძლა. ქუთაისში ჩასულ თბილისელებს კოკისპირული წვიმა, და ტალახის გუბედ ქცეული სათამაშო მინდორი დაუხვდათ. ამან კი თამაშის ხარისხს დაღი დაასვა.

შეხვედრა მასპინძელთა აქტიურობით დაიწყო. მე-3 წთ-ზე თანაგუნდელის ზუსტი პასი ომარ რუხაძემ ვერ გამოიყენა. მე-5 წთ-ზე მასპინძელთა მწვავე შეტევა და თბილისელები ძელმა გადაარჩინა გოლს. თამაშის მე-8 წთ-ზე რუხაძემ ძლიერად დაარტყა, მაგრამ ამჯერად მეკარე ყვავაძე მშვიდად დაეუფლა ბურთს. მე-10 წთ-ზე იგივე რუხაძეს ანგარიშის გახსნის რეალური შანსი მიეცა, მაგრამ ცარიელ კარში ბურთის გადაგზავნა ვერ მოახერხა. თამაშის მე-12 წუთი — სულაქველიძის მიერ შესრულებული სახიფათო საჯარიმო დარტყმა და ამჯერადაც — ძელი. უკვე მე-20 წთ-ზე ქუთაისელი თავდამსხმელების აქტიურობის შედეგად სტუმართა კარში თერთმეტმეტრიანი დაინიშნა, რაც თენგიზ სულაქველიძემ გოლად გარდასახა.

გაშვებული გოლის შემდეგ გონს მოვიდნენ სტუმრები, გააქტიურდნენ და მწვავედაც შეუტიეს. თამაშის 30-ე წთ-ზე ჯერ ცირამუამ, შემდეგ კი დამატებაზე ხმალაძემ ვერ იხეირეს. თამაშის 32-ე წუთზე რუხაძის ძლიერად დარტყმული ბურთი თბილისელმა მეკარემ თავგანწირულ ნახტომში მოიგერია.

იხ. მე-4 გვ.

## პირველი ლიგა ● VII ტური

დინამო (ზ) — თორი 3-0
ოკეანე — შუქურა 0-1
კოლხეთი (ხ) — სამგურალი 0-0
ცხინვალი — თბილისი 5-0
მილანი — მეტალურგი 2-1
ივერია — ლოკ.-გურია 1-2

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხინვალი | 7 | 5 | 1 | 1 | 20-5 | 16 |
| შუქურა | 7 | 5 | 1 | 1 | 9-1 | 16 |
| დინამო(ზ) | 7 | 4 | 1 | 2 | 12-7 | 13 |
| სამგურალი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-6 | 11 |
| მეტალურგი | 7 | 3 | 2 | 2 | 6-7 | 11 |
| გურია | 6 | 3 | 1 | 2 | 6-10 | 10 |
| თორი | 7 | 3 | 0 | 4 | 7-9 | 9 |
| მილანი | 5 | 2 | 1 | 2 | 4-5 | 7 |
| თბილისი | 7 | 2 | 0 | 5 | 3-15 | 6 |
| ოკეანე | 7 | 1 | 3 | 3 | 7-9 | 6 |
| კოლხეთი(ხ) | 7 | 1 | 3 | 3 | 2-5 | 6 |
| ივერია | 6 | 0 | 1 | 5 | 3-10 | 1 |

## პატარა ქართველი იტალიაში გადადის



ნიჭიერი მცველი დავით ქანთარია ვახტანგ კოპალეიშვილის ნაკრების შეუცვლელი წევრი იყო. 16 წლისამ მოსკოვის ახალგაზრდულ ოლიმპიადაზეც გამოიჩინა თავი. რამდენიმე ხნის წინ კი დათო იტალიაში, სერია D-ში მოასპარეზე „მაძაროში" ჩაირიცხა. კუნძულ სიცილიაზე დასავლეთით მდებარე ზღვისპირა ქალაქ მაძარა-დელვალოს პრეზიდენტმა სალვატორე მოდიცამ ასე დაახასიათა ახალგაზრდა ქართველის დებიუტი გაზეთ „ჯორნალე დე სიცილიაში": „გუნდში ავიყვანეთ ქართველი 19 წლის მცველი დავით ქანთარია, რომელიც თბილისის „დინამოს" ახალგაზრდულ გუნდშია გაზრდილი. პირველივე ამხანაგურ მატჩში მან კარგი თამაშით დაგვამახსოვრა თავი, მოკლედ, ქართველის დებიუტი წარმატებული გამოდგა."

ვუსურვოთ დავით ქანთარიას სიცილიიდან აპენინის ნახევარკუნძულზე, უფრო მაღალი ეშელონის გუნდებში გადაინაცვლოს და მის წარმატებებზე უფრო სოლიდური გამოცემები ალაპარაკებულიყო...

**ლევან დანდურიშვილი**

*სურათზე: ვახტანგ კოპალეიშვილი და მისი ყოჩაღი მოსწავლე დავით ქანთარია.*

ეროვნული ბიბლიოთეკა





# მეკარე შმეიხელის სამშობლოდან

შაბათ-კვირას „ირაოს" კოხტა მოედანზე ტრიბუნიდან თბილისელთათვის უცნაური შეძახილი მოისმოდა: მათიას ფინთ! გიდ მათიას! — გაჰკიოდნენ ქერათმიანი ცოლ-ქმარი. მარტინ და ლიზი ბექები დანიიდან თბილისში ერთკვირიანი შვებულებით ჩამოვიდნენ და მათი უმცროსი ვაჟის, მათიასის დაჟინებული მოთხოვნით „ირაოს" საფეხბურთო სკოლას მიაკითხეს. პატარა მათიასი მშობლიურ ვაილეში „ვაილე ბოლკლუბენში" ვარჯიშობს და არ სურდა ერთი კვირა თბილისში უქმად დაეკარგა. მართლაც, ქართველ ბიჭებზე ერთი წლით უმცროსი ქერათმიანი მეკარე ყოჩაღად იდგა „ირაოს" კარში და მისმა გუნდმაც ზედიზედ სამივეჯერ გაიმარჯვა. ვარჯიშზეც გვარიანად „დასეტყვეს" მათიასი „ირაოს" ფორვარდებმა და ისიც პანტაპუნტით იგერიებდა დარტყმებს...

ვარჯიშის შემდეგ გაოფლიანებული მათიას ბექი მშობლებს და დაძმას ეუბნებოდა — ახლა გავიგე, რას ნიშნავს ნაღდი ვარჯიში, ვაილეში რომ ჩავალ, ჩემს მასწავლებელს მოვუყვები, როგორ ემზადებიან ქართველები და ვთხოვ, ჩვენც ასე გვავარჯიშოსო...

მათიასი დღეს მიემგზავრება დანიაში, მაგრამ დაიბარა, აუცილებლად ჩამოვალ და ჩემს ახალ მეგობრებთან უფრო მეტხანს ვივარჯიშებო...

მომავალ შეხვედრამდე, მათიას!

ლევან დანდურიშვილი

*სურათებზე: კობა ქორქიაშვილი თავის შეგირდებთან წვრთნის დაწყების წინ (მარცხენა ფოტო); დანიელი მეკარე „ირაოზე".*

## უამინდობაში...

*(მესამე გვერდიდან)*

თამაში მოედნის ცენტრში გაგრძელდა.

მეორე ტაიმი თბილისელთა სახიფათო იერიშებით დაიწყო. 45-ე წთ-ზე აკაკი ჩხიკვაძის მიერ გატანილი გოლი სტუმართა შეტევების ლოგიკური დასასრული იყო. თამაშის 55-ე წთ-ზე გერსამიას თავური დარტყმა ცოტაოდენით ასცდა მიზანს. 67-ე წთ-ზე ცირამუა ცდილობს თავური დარტყმით დალაშქროს ნიქაბაძის კარი, თუმცა ბურთი სცდება კარს, შემდეგ კი მცველები იგერიებენ. შეხვედრის დარჩენილ დროში სტუმრები გაბატონდნენ მინდორზე, თუმცა ხან თვითონ ფორვარდები სცოდავდნენ, ხან კიდევ ქუთაისელი მცველები ყოჩაღობდნენ. ბოლო წუთზე კი სტუმრები სასწაულმა გადაარჩინა სამი ქულის დაკარგვას.

შეხვედრის დასრულების შემდეგ გვერდით მსაჯზე განაწყენებულ „თბილისის" მთავარ მწვრთნელს ვალერი კობახიძეს ვთხოვე გაეზიარებინა თავისი აზრი. აი, რა მომახსენა. მან.

— საერთოდ, რაიონში ჩასული თბილისური გუნდები მსაჯების მხრიდან იჩაგრებიან. დღეს სერიოზული შეცდომა მსაჯებს თითქოს არ დაუშვიათ, თუმცა შეხვედრის ბოლო წუთზე გვერდითმა მსაჯმა აშკარა თამაშგარე მდგომარეობა არ დააფიქსირა, რის გამოც შეიძლებოდა სამი ქულა დაგვეკარგა.

● *თქვენი გუნდის თამაშით თუ ხართ კმაყოფილი?*

ვ.ქ.: ამინდმაც და მოედნის უვარგისობამაც თამაში სანახაობრივადაც გააფუჭა. პასი ჭირდა, ბურთს წყალი აკავებდა. აქედან გამომდინარე ძნელია თამაშის ხარისხზე დასკვნის გაკეთება, თუმცა დიდი ბრძოლა იყო. ამ თამაშის წაგებაც და მოგებაც ადვილად შეიძლებოდა.

„მართვეს" მწვრთნელი მიხეილ ლოსაბერიძე:

— ამინდმა არ გაგვიმართლა. ფორტუნამაც ზურგი გვაქცია. ეს თამაში აუცილებლად უნდა მოგვეგო.

● *მოწინააღმდეგე გუნდმა როგორი შთაბეჭდილება დატოვა?*

ვ.ქ.: საკმაოდ ბრძოლისუნარიანი და პერსპექტიული გუნდია.

მ.ლ.: კარგი გუნდია. საკმაოდ ნიჭიერი ფეხბურთელები ჰყავთ და სამეულში მოსახვედრადაც უპრეცედენტოდ იბრძვიან.

● *თქვენი გუნდიდან რომელ ფეხბურთელს გამოარჩევდით?*

ვ.ქ.: გიორგი ბურდილაძემ და მეკარე ყვავაძემ ძალიან კარგად ითამაშეს.

მ.ლ.: თენგიზ სულაქველიძის თამაში აღნიშვნის ღირსია. მართლაც რომ ნიჭიერი ახალგაზრდაა.

წარმატებებს გისურვებთ.

ნინო ცირამუა

## წალენჯიხაში „თავისუფალს" ჭიდაობენ

ქალაქ წალენჯიხის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა კლუბში 8 წლიდან 16 წლამდე ოცამდე მოზარდი ვარჯიშობს. კლუბი 1993 წლის მაისში გაიხსნა ბატონ დავით მორგოშიას დახმარებით. მაშინდელ კლუბს ხელმძღვანელობდნენ კახა მოსიძე და ბადრი კვარაცხელია. იმ დროს შიდა ომი მძვინვარებდა, იყო ეკონომიკური სიდუხჭირე, მიუხედავად ამისა, კლუბი თავს მაინც ართმევდა დაწყებულ საქმეს, ეს ყველაფერი ხდებოდა მოზარდთა მშობლების დახმარებით და შედეგიც არ აყოვნებდა, იმ დროისათვის ჩვენს კლუბში ირიცხებოდა გიორგი წურწუმია (დღეისათვის ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკთა შორის). გიორგი პირველად რომ მივიდა კლუბში სავარჯიშოდ, მერვე კლასში სწავლობდა, სიმაღლით 190 სანტიმეტრის იყო. ახოვანმა, კოლხური შემართების ბიჭუნამ, დიდი ყურადღება მიიპყრო პირველივე შეჯიბრებაზე თბილისში. ეს იყო 1995 წელს, შოთა ლომიძის სახელობის ტურნირი. აქ ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ვალოდია იაშვილმა აღტაცება გამოხატა გიორგის ფიზიკური აღნაგობის გამო, თანაც დიდ გამოჩენილ რუს მოჭიდავე მედვედს შეადარა. 1996 წელს გიორგი თბილისში გადავიდა სავარჯიშოდ ბატონ დავით დავითაიასთან, რომელმაც ძალზე დიდი როლი შეასრულა გიორგის წარმატებაში.



გიორგის მხარდამხარ მისდევენ მისი თანაგუნდელები. მართალია ისინი არ არიან ევროპისა და მსოფლიო პრიზიორები, მაგრამ საქართველოს მასშტაბით გამართულ შეჯიბრებებზე ღირსეულად გამოდიან. ესენია: გიორგი კვირკვია, ირაკლი, კახა და გიორგი კვარაცხელიები. დავითი და გოგა მიქაიები, დავით მირცხულავა, მიხეილ და მალხაზ ზარქუები, ალმასხანი და დურიშხან ჭკადუები, სოსლან თოდუა, რომეო არახამია და სხვები.

დღეისათვის ყველაფერ „სიკეთესთან" ერთად გულდასაწყვეტია, რომ დარბაზი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, ვარჯიშის გაგრძელება თითქმის შეუძლებელია, საჭიდაო ხალიჩა და ლეიბები უვარგისია მოზარდთა სავარჯიშოდ, რის გამოც ხშირად უხდებათ კარგ ამინდში მინდორში ფიზიკური ვარჯიშების ჩატარება, არადა, პერსპექტივა ძალიან დიდია. კარგად მოგეხსენებათ ქართული ჭიდაობა მამაპაპისეული სპორტია, ჩვენი წინაპრებიდან ფართოდ ზის ჩვენს გენებში ჭიდაობის თითქმის ყოველი სახეობა, რასაც მოწმობს მშობლების დაჟინებული თხოვნა, ჩემი ბავშვი მინდა თქვენთან სავარჯიშოდ დადიოდესო...

პირველ რიგში ჩვენი კლუბი საჭიროებს რაიონის ხელმძღვანელობის თანადგომას. არაფერს ვიტყვი ხელფასების გაყინვაზე, დაგვეხმარონ საჭიდაო ინვენტარის შეძენაში, თუნდაც იყოს ნახმარი, მაგრამ გამოსადეგი, რათა ჩვენი შვილები დავასაქმოთ, რომ ისინი არ გახდნენ ჩვენთვის კარგად ცნობილი ქუჩის ტრადიციების მსხვერპლი. ახალგაზრდა მასწავლებელი ბადრი კვარაცხელია ძალ-ღონეს არ იშურებს, უხელფასოდ მუშაობს. მაგრამ ამ ენთუზიასტ ახალგაზრდასაც სჭირდება დახმარება, ასეთი ხალხი ხელისგულზეა სატარებელი...

ბესო კვარაცხელია



# ბუდაპეშტისკენ გზა თბილისზე გადის

ნოემბრის შუა რიცხვებში უნგრეთის დედაქალაქი იუნიორ მოკრივეთა მსოფლიო პირველობას უმასპინძლებს. „შრომითი რეზერვების" დარბაზის რინგზე მასში მონაწილეობის უფლებას ეცილებოდნენ ერთმანეთს საქართველოს პირველობის მონაწილე 1982-83 წლებში დაბადებული სპორტსმენები. ასპარეზობამ არაერთი იმედის მომცემი ახალგაზრდა წარმოაჩინა, განსაკუთრებით ეს ითქმის თბილისელ და ბათუმელ მოკრივეებზე, მაგრამ ისიც თვალნათლივ დაგვანახა, რომ მათ აშკარად აკლიათ სატურნირო გამოცდილება. სამწუხაროდ, შეჯიბრებაზე გამგზავრებისა და მისი მოწყობის თანხების უქონლობის გამო ჩვენში ეს საშეჯიბრო ვაკუუმი ვერა და ვერ დავძლიეთ. ეგ კი არა, ეს პირველობა თვით მოკრივეებში შეგროვილი ფულით ჩატარდა...

შეჯიბრებაზე გამოირჩეოდნენ სპორტის ოსტატ ნოდარ ქიქავას აღსაზრდელები, დედაქალაქელ 6 ჩემპიონთაგან 3 მისი შეგირდია.

ტურნირის საუკეთესო მოკრივედ კი მეორე ქვესაშუალო წონის ბათუმელი მერაბ სვანიძე აღიარეს. სხვათა შორის, იქ უკვე რამდენიმე წელია აჭარის ფედერაციას სათავეში უდგას სპორტის ოსტატი, საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი ირაკლი მელაძე, რომელიც ბიზნესშია ჩაბმული, დიდ ფინანსურ დამხარებას უწევს იქაურ კრივს და ზღვისპირელმა მოკრივეებმა ეს გაამართლეს კიდეც – არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ თბილისელებს ჩამორჩნენ, ჰყავთ გამარჯვებულები და პრიზიორები.





*48 კგ.* 1. მამია გოგუაძე (ბათუმი), 2. ზვიად ხადური (რუსთავი), 3. ლევან რუხაძე (ფოთი), 3. დავით მუსტაფაევი (რუსთავი); *51 კგ.* 1. კონსტანტინე კუპატაძე (თბ.), 2. კარლო ტაბალუა (ბათ.), 3. ვალერი ელისაბედაშვილი, 3. ალექსი ამირიანი (ორივე – თბ.). *54 კგ.* 1. კახა ჟვანია (ფოთი), 2. გიგა მანია (ქუთ.), 3. აკაკი წერეთელი (ჭიათ.), 3. მალხაზ ედიშერაშვილი (თბ.). *57 კგ.* 1. გიორგი ყიფიანი (თბ.), 2. ზურაბ ორმოცაძე (ქუთ.), 3. სერგი განჯელაშვილი, 3. გურამ გეგუჩაძე (ორივე – თბ.). *60 კგ.* 1. დავით ბერიძე (გორი), 2. კობა ქარქაშაძე (ფოთ.), 3. კახა გვენცაძე (ქუთ.), 3. ანზორ გორაძე (ბათ.). *63,5 კგ.* 1. პავლე აფაქიძე (თბ.), 2. გივი მამრიკიშვილი (ქუთ.), 3. ალეკო ოძელაშვილი, 3. მანუჩარ შიშინაშვილი (ორივე – თბ.). *67 კგ.* 1. მერაბ სვანიძე (ბათ.), 2. იოსებ თათენიშვილი (თბ.,), 3. დავით ღვამიჩავა (ფოთი), 3. ხვიჩა სულაბერიძე (ქუთ.); *71 კგ.* 1. ლაშა ჩხობაძე (თბ.), 2. დიმიტრი კუტიბაშვილი (წნორი), 3. ირაკლი აბაშიძე, 4. ლევან ბოჭორიშვილი (ორივე – თბ.); *75 კგ.* 1. ხვიჩა მსტოევი, 2. რუდოლფ სერგეევი (ორივე – თბ.), 3. ვაჟა ტერუნაშვილი (გორი), 3. მალხაზ გოჩელიშვილი (ქუთ.). *81 კგ.* 1. ნოდარ დვალიშვილი, 2. ბესო ხუტუაშვილი (ორივე – თბ.), 3. მამუკა დევაძე (ბათ.), 3. ალექსი ყაზახაშვილი (თბ.); *91 კგ.* 1. ოთარ მამასახლისი (ბათ.), 2. რამაზ რუხაძე, 3. ვასილ შავგულიძე (ორივე – თბ.), *+91 კგ.* 1. გაგა ბოლქვაძე (ბათ.), 2. გიორგი კობახიძე (გორი), 3. თემურ ჯავახიშვილი (თბ.), 3. რუზგენ ქარდავა (ორივე – თბ.).



*საქართველოს 2000 წლის ჩემპიონები. სხედან (მარცხნიდან): პავლე აფაქიძე, დავით ბერიძე, კახა ჟვანია, გიორგი ყიფიანი, კოტე კუპატაძე, მამია გოგუაძე; (დგანან): ხვიჩა მსტოევი, ოთარ მამასახლისი, გაგა ბოლქვაძე, ნოდარ დვალიშვილი, ლაშა ჩხობაძე და მერაბ სვანაძე.*

*რობერტ ბაგოიანის ფოტო*

# XXVII ოლიმპიური თამაშების მოზაიკა

## ავსტრალიელებს არ გაუკვირდებათ

**მწვანე კონტინენტის ხელისუფალნი ირწმუნებიან, რომ ზოგიერთ სპორტსმენს შეუძლია პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვოს. ავსტრალიელებს ამის გამოცდილება უკვე აქვთ: 1956 წელს მელბურნში ოლიმპიადის შემდეგ 61 კაცმა ითხოვა თავშესაფარი. მათგან 21-მა ავსტრალიაში დარჩენა არჩია, დანარჩენებმა აშშ-ს მიაშურეს. ამჯერად, მთავრობის მოხელეთა აზრით, მათი რიცხვი გაცილებით ნაკლები იქნება.**

## მცირე ჩოგნის დიდი პრობლემები

XXVII თამაშების დღეებში მოულოდნელად მაგიდის ჩოგბურთელებს დიდი სიძნელეები შეექმნათ ჩოგნებთან დაკავშირებით. მსაჯებმა ტესტირება ჩაუტარეს 25 ჩოგანს, რომლითაც უნდა ეთამაშათ მონაწილეებს, 4 მათგანი არ შეესატყვისებოდა წესებს. უფრო სწორად, უწესრიგო აღმოჩნდა მათი რეზინის საფარი. საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელთა აზრით, დაწუნებულ ჩოგნებში შეიძლება ყოფილიყო ტოქსიკური ნივთიერება, ამიტომ ჩოგნის საფარი შეცვალეს.

## საოცარი სასმელი

**თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელი, შუახნის მანდილოსანი ოლიმპიური სოფლის ინსპექტირებისას გააკვირვა, რომ თვალში ხვდებოდა პატარა პაკეტების სიმრავლე, რომელშიც ჩაი ეყარა და სთავაზობდნენ უფასოდ წაეღოთ. ამასთან, ოლიმპიადის ოფიციალური „ჩაის“ სპონსორი არა ჰყოლია. ბანოვანმა გადაწყვიტა, გაერკვია ამ უცნობი მეცენატის ვინაობა. სოფლის ადმინისტრაციაში, რომელსაც მიმართა ცნობისათვის, მას ჯერ ვერ გაუგეს, და როცა მიხვდნენ, აუხსნეს, რომ მან პრეზერვატივების პაკეტი მიიჩნია ჩაის პაკეტებად.**

## ჩელსი კლინტონმა კალათბურთი აირჩია



ჩელსი კლინტონი

სრულიად ბუნებრივია, რომ ოლიმპიური თამაშები სახელოვანთა ყურადღების ცენტრში მოექცა და საპატიო სტუმრებად ეწვივნენ მწვანე კონტინენტს. მათ შორის მალაიზიის, ესპანეთის, ბელგიის, ჰოლანდიის სამეფო ოჯახებიდანაც. კლინტონების ოჯახს კი წარმოადგენდა ქალიშვილი ჩელსი. პაპარაცის მახვილ თვალს, რა თქმა უნდა, არც სამეფო პარკში მოსეირნე და საპატიო სტუმართა ლოჟაში ბუტერბროდს რომ შეექცეოდნენ ჰოლივუდის კინოვარსკვლავები ტომ კრუზი ცოლით, წარმოშობით ავსტრალიელი ნიკოლ კიდმანი გამორჩენია.

ამერიკის პრეზიდენტის ასული ცურვამ, პლაჟის ფრენბურთმა და აგრეთვე კალათბურთმა დააინტერესა. ყველაზე უფრო აშშ-კუბის მატჩმა.



## მუჰამედ ალი: «ახლავე შემიძლია ნოკაუტში გავისტუმრო ლენოქს ლიუისი»...

**სახელოვანი მუჰამედ ალი კი, რომელმაც ოთხი წლის წინათ ატლანტაში ოლიმპიური ცეცხლი აანთო, მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, მაინც ინარჩუნებს სიმხნევესა და სიმშვიდეს, არც იუმორის გრძნობა დაჰკარგვია, როცა ჰკითხეს როგორ გრძნობს თავს, უყოყმანოდ განაცხადა, „ძალიან კარგად! ახლავე შემიძლია ნოკაუტში გავისტუმრო ლენოქს ლიუისი...“**

## პრინცესა ანას არა სწამს სპორტის სიწმინდისა

ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაციის პრეზიდენტს პრინცესა ანას ძლიერ აეჭვებს, რომ ოდესმე ოლიმპიური თამაშები წმინდა იქნება.

მეფური არსების სიტყვებით, ძალზე საცდუნებელია სპორტსმენთათვის სასურველი ეფექტის მიღწევა ძალის მინიმალური დახარჯვით. „ვერასოდეს შევძლებთ ამ ბოროტების აღმოფხვრას. ეს პრობლემა ნიადაგ კვალდაკვალ „გვითვალთვალებს“, — თქვა მეფის ასულმა. — მიუხედავად იმისა, რომ სოკ-მა აგრე გააძლიერა ანტისადოპინგო ზომები, აკრძალული პრეპარატის მომხმარებლის ხელის ჩავლება არარეალურია“.

პრინცესამ გაიხსენა, რომ ბევრი ქვეყანა სპორტსმენთა დისკვალიფიკაციის გამო ისაკლისებს სპორტსმენებს, მათ შორის დიდმა ბრიტანეთმა დაკარგა ოლიმპიური ჩემპიონი 100 მეტრზე თარჯრბენში ლინფორდ კრისტი, რომელსაც ანალიზში ნენდროლონის კვალი აღმოაჩნდა.




# ტურნირს ტურნირი მოჰყვა

პროფესიონალ ჩოგბურთელ ქალთა IV საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დამთავრდა, პირველ ნომრად განთესილი არგენტინელი მარია დიაზ ოლივე სავსებით ამართლებდა თავის მაღალ რეიტინგს — 130 მსოფლიო კლასიფიკაციაში, ძალების დაუძაბავად მიიკვლევდა გზას ნახევარფინალამდე. ამ ეტაპზე კი, გვარიანი გარჯა მოუხდა, როცა პირველი სეტი დათმო ახალგაზრდა მასპინძელ მაკა ჩახნაშვილთან — 6:7, რაც ქართველი ჩოგბურთელისთვის საგულისხმო წარმატებაა. მომდევნო პარტიებში კი ძალა, უფრო კი, ასეთი მაღალი რანგის ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილება არ ეყო და საბოლოოდ დათმო შეხვედრა — 5:7, 3:6; სხვათა შორის, არგენტინელს ფინალშიც რუსეთელ მარია გოლოვიზინასთანაც ისევ პირველი პარტიის დათმობა მოუხდა — 3:6. შემდეგ, ოსტატობამ თავისი ქნა და სძლია მეტოქეს — 6:2, 6:2 და პირველობასთან ერთად ჯილდოდ 3.900 დოლარი მიიღო. მას წყვილთა შეხვედრის ფინალის პირველი პარტიის დათმობაც მოუხდა იტალიელ მარია სანტ ანჯელოსთან ერთად, ოღონდ მენსს (ნიდერლანდები) და ალიონა პაულენკოსთან (სლოვაკეთი) ასპარეზობაში, მაგრამ მომდევნო პარტიები და ტურნირიც პირველებმა მოიგეს.

ტურნირის მონაწილეთა უმრავლესობამ, მეტწილად სტუმრებმა, ბათუმში გადაინაცვლეს. ქართველ ჩოგბურთელებს სამგზავრო და იქ საცხოვრებელი თანხა არ აღმოაჩნდათ. აჭარის დედაქალაქის სანაპიროს კორტებზე დაიწყო პროფესიონალ ჩოგბურთელ ქალთა კიდევ ერთი საერთაშორისო ტურნირი. მისი საპრიზო ფონდი 75 ათასი დოლარია.

# ამაგი დაუფასდათ



**ამას წინათ ვიტყობინებოდით, რომ საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვა-განვითარებისა, ახალგაზრდა თაობის ფიზიკურ აღზრდაში შეტანილი დიდი პირადი წვლილისათვის, საქართველოში სპორტის დღესთან დაკავშირებით რჩეულებს მიენიჭათ „საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის“ წოდება. ამ დღეებში საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა მურთაზ მნათობიშვილმა (პირველ რიგში, მარჯვნიდან მეორე) საზეიმო ვითარებაში გადასცა მათ ეს ჯილდო.**

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ყიდვა-გაყიდვა

**ჩეხეთის ნაკრების თავდამსხმელმა პაველ კუკამ 7 წელი ბუნდესლიგაში გაატარა, ახლა იმ მშობლიურ კლუბს დაუბრუნდა, რომელიც დატოვა. ეს გახლავთ პრაღის „სლავია“.**

**„ბარსელონამ“ კი თავისი შუა ხაზის გასაძლიერებლად 17 მილიონ დოლარად შეიძინა ზაგრების „დინამოს“ ნახევარმცველი იგორ ბესჩანი.**

## მაინც სხვაა

მას შემდეგ, რაც განთქმულმა მეკარემ პეტერ შმაიხელმა ჩათვალა, რომ ამდენ წელს „მანჩესტერ იუნაიტედში“ დიდი ჯაფა დაადგა და ცოტა დასვენებაც არ აწყენდა, „დასასვენებლად“ ლისაბონის „სპორტინგი“ აირჩია. ისე კი, რის დასვენება, რა დასვენება! მართალია, პორტუგალიის ჩემპიონატში. ისეთივე სიგიჟე არ არის, რაც ინგლისისაში (აქ ბევრი სუსტი გუნდია!), მაგრამ „სპორტინგი“ ხომ ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობს, ამასთან, მეკარეს სისტემატურად დანიის ნაკრებშიც უხდება გამოსვლა.

● *ოდესღაც შმაიხელს მსოფლიოს უძლიერეს მეკარედ თვლიდით — გაახსენეს ამ დღეებში მოსკოვის „სპარტაკის“ წამყვან ფეხბურთელ ეგორ ტიტოვს.*

— ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ. ისე კი დიდი ხანია არა მყოლია გამორჩეულად უძლიერესი და დიდი, მისაბაძი ფეხბურთელი. აი წელს კი გამოჩნდა ასეთი — ტოლდო. რაც შეეხება შმაიხელს, იგი აუცილებლად გადააჭარბებს უმაღლეს დონეზე თამაშის რეკორდს, რომელიც ინგლისელ შილტონს ეკუთვნის. შმაიხელს ათი წლის შემდეგაც ისეთი მაღალი მზადყოფნა ექნება, ახლა რომ აქვს. წლები მას ვერაფერს აკლებს და შემდეგშიც ვერ დააკლებს.

## უხეშობის რეკორდსმენი

**აგვისტოდან თამაშობს მოსკოვის „დინამოში“ მეკარე გენადი ტუმილოვიჩი, რომელმაც ახალ გუნდში სულ 6 მატჩი ჩაატარა, მაგრამ ყვითელ ბარათს ყვითელ ბარათზე იღებს. ასეთი მას უკვე ოთხი აქვს. ეს მეკარისათვის დიდი „მიღწევაა“. ისე კი, ტუმილოვიჩი უხეშობით თვით განთქმულ მცველ იური კოვტუნსაც არ ჩამოუვარდება. შარშან სოჭის „ჟემჩუჟინაში“ რომ თამაშობდა, 6 „ყვითელი“ მიიღო. გაფრთხილებათა საერთო რიცხვით რუსეთის უმაღლეს დივიზიონში იგი მოსკოვის „სპარტაკის“ მეკარე ალექსანდრ ფილიმონოვს გაუთანაბრდა (12-12). მართალია, ამ დივიზიონში ფილიმონოვმა 217 მატჩი ითამაშა, ტუმილოვიჩმა კი სულ... 39!**

## გრაჩოვი უშველის?

მოსკოვის ცსკას აქციონერთა საბჭოს სხდომამ გადაწყვიტა შედეგების ამაღლების მიზნით გააძლიეროს ფეხბურთელთა კლუბთან მუშაობა.

შეიქმნა ახალი სტურქტურა — კლუბის მზრუნველთა საბჭო, თავმჯდომარეა რუსეთის თავდაცვის ყოფილი მინისტრი პაველ გრაჩოვი.

## ვინ ყოფილა ეს რანჟელოვიჩი!

**ის, რომ მახაჩყალის „ანჟი“ ასეთი წარმატებით გამოდის რუსეთის ჩემპიონატში, მიმომხილველებს ძირითადად ორი პიროვნების დამსახურებად მიაჩნიათ. პირველია შესანიშნავი მწვრთნელი ჰაჯი ჰაჯიევი, რომელსაც გულშემატკივრები ძალიან კარგად იცნობდნენ.**

**აი, მეორე კი, აქამდე სრულიად უცნობი ფეხბურთელია. ეს გახლავთ იუგოსლავიელი პრედრაგ რანჟელოვიჩი, რომელმაც 11 გოლი გაიტანა და სნაიპერთა შორის 1-2 ადგილებს იყოფს ლოკომოტიველ დმიტრი ლოსკოვთან (ახლა იგი დაშავებულია).**

## შუსტერი „ბარსელონაში“ დაბრუნდა

გამოჩენილი ოსტატი ბერნდ შუსტერი, რომელმაც დიდი სახელი „ბარსელონაში“ მოიპოვა, ახლა კვლავ ამ კლუბს დაუბრუნდა. იგი ერთ-ერთი მწვრთნელი გახდა, რომლის მოვალეობაა მეტოქეთა თამაშებზე დასწრება და მათი ძალის შესწავლა, აგრეთვე ნორჩი ტალანტების ძიება და მათთვის თვალყურის დევნება.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

# 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

## ევროპა

**პირველი ჯგუფი** (იუგოსლავია, რუსეთი, შვეიცარია, სლოვენია, ლუქსემბურგი, ფარერები)
***7 ოქტომბერი.*** ლუქსემბურგი — სლოვენია, იუგოსლავია — რუსეთი, შვეიცარია — ფარერები.
***11 ოქტომბერი.*** რუსეთი — ლუქსემბურგი, სლოვენია — შვეიცარია, იუგოსლავია — ფარერები.

როგორც ხედავთ, ჯგუფის ფავორიტები ერთმანეთში არკვევენ ურთიერთობას. მოსალოდნელია მეტად მწვავე, პრინციპული ორთაბრძოლა. სხვა მატჩებიდან სლოვენია — შვეიცარიის შეხვედრას გამოვყოფდით. ეს ის გუნდებია, რომლებმაც ტურნირის დასაწყისში ქულები დაკარგეს და რეაბილიტაციისათვის უნდა იბრძოლონ.

**მეორე ჯგუფი** (ჰოლანდია, პორტუგალია, ირლანდია, კვიპროსი, ანდორა, ესტონეთი)
***7 ოქტომბერი.*** ანდორა — ესტონეთი, კვიპროსი — ჰოლანდია, პორტუგალია — ირლანდია.
***11 ოქტომბერი.*** ირლანდია — ესტონეთი, ჰოლანდია — პორტუგალია.

ცხადია, ამ წყვილებში გამოსარჩევი ორი მატჩია: პორტუგალია — ირლანდია და ჰოლანდია — პორტუგალია. ტურნირის დასაწყისში ირლანდიელებმა „ტიტების ქვეყნიდან" მეტად მნიშვნელოვანი ქულა წამოიღეს და, ვფიქრობთ, ჰოლანდიისა და პორტუგალიის გუნდებს ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევენ.

**მესამე ჯგუფი** (ჩეხეთი, დანია, ბულგარეთი, ისლანდია, ჩრდ. ირლანდია, მალტა)
***7 ოქტომბერი.*** ჩრდ. ირლანდია — დანია, ჩეხეთი — ირლანდია, ბულგარეთი — მალტა
***11 ოქტომბერი.*** დანია — ბულგარეთი, მალტა — ჩეხეთი, ისლანდია — ჩრდ. ირლანდია

საინტერესო თამაშია მოსალოდნელი კოპენჰაგენში: განახლებული ბულგარეთის გუნდი, ალბათ, სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევს დანიელებს.

**მეოთხე ჯგუფი** (შვედეთი, თურქეთი, სლოვაკეთი, მაკედონია, აზერბაიჯანი, მოლდოვა)
***7 ოქტომბერი:*** მაკედონია — აზერბაიჯანი, შვედეთი — თურქეთი, მოლდოვა — სლოვაკეთი
***11 ოქტომბერი:*** სლოვაკეთი — შვედეთი, აზერბაიჯანი — თურქეთი, მოლდოვა — მაკედონია. შვედეთი — თურქეთისა და სლოვაკეთი — შვედეთის მატჩები, ცხადია, ამ ჯგუფში ყველაზე დიდი ინტერესს იწვევს. ბოლო ხანს განსაკუთრებულ პროგრესს განიცდის თურქეთის ნაკრები, შვედებმაც ევრო-2000-ის შემდეგ მნიშვნელოვნად გადაახალისეს ეროვნული გუნდი. ამ მატჩის ჩვენეული პროგნოზი: მოსალოდნელია ფრე.

**მეხუთე ჯგუფი** (ნორვეგია, უკრაინა, პოლონეთი, უელსი, სომხეთი, ბელარუსი.
***7 ოქტომბერი.*** სომხეთი — უკრაინა, პოლონეთი — ბელარუსი, უელსი — ნორვეგია.
***11 ოქტომბერი.*** ბელარუსი — სომხეთი, ნორვეგია — უკრაინა, პოლონეთი — უელსი

პრინციპული მატჩია ერევანში: სომხებმა კარგად დაიწყეს ტურნირი და ოსლოდან ქულა ჩამოიტანეს, უკრაინელები კი შინ სასტიკად დამარცხდნენ პოლონელებთან. გარდა ამისა, სომხეთსა და უკრაინას ძველი ანგარიშები აქვთ: გახსოვთ, ალბათ, სწორედ სომხებმა გადაუღობეს გზა სლავებს ევრო-2000-ის შესარჩევ ტურნირში. უკრაინელებს ოთხი დღის შემდეგ ოსლოშიც ძნელი მატჩი ელით — სომხებთან სირცხვილნაჭამი ნორვეგიელები საკუთარი მაყურებლის წინაშე რეაბილიტაციისათვის იბრძოლებენ.

**მეექვსე ჯგუფი** (ბელგია, შოტლანდია, ხორვატია, ლატვია, სან-მარინო)
***7 ოქტომბერი:*** სან-მარინო — შოტლანდია, ლატვია — ბელგია.
***11 ოქტომბერი:*** ხორვატია — შოტლანდია

როცა ევრო-2000-ის შესარჩევი ტურნირიდან ფინალში ნაკრები ვერ გავიდა, ხორვატმა გულშემატკივრებმა ძალიან მტკივნეულად განიცადეს ეს. ახლა სპეციალისტების მტკიცებით, ხორვატიას ძლიერი გუნდი ჰყავს და შესარჩევ ჯგუფში ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება, ისევე, როგორც შოტლანდიელები. სწორედ ეს ორი გუნდი შეხვდება ერთმანეთს ზაგრებში.

**მეშვიდე ჯგუფი** (ესპანეთი, ავსტრია, ისრაელი, ბოსნია, ლიხტენშტეინი).
***7 ოქტომბერი:*** ლიხტენშტეინი — ავსტრია, ესპანეთი — ისრაელი
***11 ოქტომბერი:*** ისრაელი — ბოსნია, ავსტრია — ესპანეთი

ცხადია, ძალიან საინტერესო მატჩი გაიმართება ვენაში: ავსტრიაც, ესპანეთთან ერთად ფავორიტია ამ ჯგუფში.

**მერვე ჯგუფი** (რუმინეთი, იტალია, ლიტვა, უნგრეთი, საქართველო)
***7 ოქტომბერი:*** ლიტვა — საქართველო, იტალია — რუმინეთი
***11 ოქტომბერი:*** ლიტვა — უნგრეთი, იტალია — საქართველო.

იტალია — რუმინეთის მატჩი საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. ამ სამიოდე თვის წინათ ევრო-2000-ზე აპენინელებმა შედარებით ადვილად დაამარცხეს რუმინელები. ახლაც, ჩვენი პროგნოზით, ამ წყვილში იტალია გაიმარჯვებს.

**მეცხრე ჯგუფი** (გერმანია, ინგლისი, საბერძნეთი, ფინეთი, ალბანეთი).
***7 ოქტომბერი:*** ინგლისი — გერმანია, საბერძნეთი — ფინეთი
***11 ოქტომბერი:*** ალბანეთი — საბერძნეთი, ფინეთი — ინგლისი.

ინგლისი — გერმანიის წყვილი არამარტო ჯგუფის, არამედ მთელი შესარჩევი ტურნირის ცენტრალური შეხვედრაა. გერმანიამ წარმატებით დაიწყო ეს ციკლი, ინგლისისთვის კი ეს პირველი შესარჩევი თამაშია.

2002
FIFA WORLD CUP
KOREA JAPAN

## ევროპული ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატები

**იტალია**
***სერია A.*** I ტური. ატლანტა — ლაციო 2-2, ბარი — ვერონა 1-1, მილანი — ვიჩენცა 2-0, ნაპოლი — იუვენტუსი 1-2, პარმა — ფიორენტინა 2-2, პერუჯა — ლეჩე 1-1, რეჯინა — ინტერი 2-1, რომა — ბოლონია 2-0, უდინეზე — ბრეშა 4-2.

**გერმანია**
***ბუნდესლიგა. VII ტური.*** ბაიერნი — ჰანზა 0-1, კაიზერსლაუტერნი — კოტბუსი 1-1, ბოხუმი — უნტერჰახინგი 3-0, ჰერტა — კიოლნი 4-2, ჰამბურგი — შალკე 2-0, ლევერკუზენი — მიუნხენ-1860 0-0, ფრაიბურგი — ვერდერი 0-1, ვოლფსბურგი — შტუტგარტი 2-2. ბაიერნი — 15 ქულა, შალკე — 14, დორტმუნდი — 13.

**ინგლისი**
***პრემიერლიგა. VIII ტური.*** ასტონ ვილა — დერბი 4-1, ჩარლტონი — ქოვენტრი 2-2, ევერტონი — იფსვიჩი 0-3, ლიდსი — ტოტენჰემი 4-3, სიტი — ნიუკასლი 0-1, საუთჰემპტონი — მიდლსბრო 1-3, ვესტ ჰემი — ბრედფორდი 1-1, სანდერლენდი — ლესტერი 0-0, არსენალი — მანჩ. იუნ. 1-0, ჩელსი — ლივერპული 3-0. ლესტერი — 16, მანჩ. იუნაიტედი, არსენალი — 15-15.

**საფრანგეთი**
***I დივიზიონი. X ტური.*** გენგამი — პსჟ 1-1, ბასტია — მეცი 1-0, ლანსი — სტრასბური 0-0, მონაკო — ბორდო 2-2, სენტ-ეტიენი — რენი 0-2, ტულუზა — ოსერი 0-1, ტრუა — სედანი 1-1, ნანტი — ლილი 0-0, მარსელი — ლიონი 1-1. ბასტია — 19, პსჟ — 18, ლანსი — 16.

**ესპანეთი**
***პრემიერადივიზიონი. IV ტური.*** რასინგი — რეალი 0-0, ალავესი — ოსასუნა 2-0, ოვიედო — სარაგოსა 2-1, ვალიადოლიდი — ვილარეალი 0-0, დეპორტივო — ბარსელონა 2-0, ესპანიოლი — სოსიედადი (წვიმის გამო შეწყდა), რაიო ვალეკანო — სელტა 3-0, მალაგა — ნუმანსია 1-3, ატლეტიკო — მალიორკა 2-1, ვალენსია — ლას პალმასი 5-1. დეპორტივო — 10 ქულა, ვალენსია, სელტა — 9-9.

**პორტუგალია**
***I ლიგა, VI ტური.*** გიმარაეში — ავეში 2-2, ალვერკა — ჟილ ვისენტე 2-0, პაკუში — ეშტრელა 4-1, კამპომაიორენსე — ლეირია 1-1, მარიტიმუ — ბეირა მარი 2-1, სპორტინგი — სალგეირუში 2-0. ბრაგა, სპორტინგი — 13-13.

**ავსტრია**
***XIII ტური.*** ბრეგენცი — ზალცბურგი 5-1, ლინცერი — რაპიდი 2-1, გრაცერი — ტიროლი 0-2, აუსტრია — შტურმი 1-2. რაპიდი — 25, აუსტრია — 22, ტიროლი — 21.

**თურქეთი**
***VII ტური.*** ისტანბული — ერზრუმი 1-0, გონჩლერბირლიგი — გალათასარაი 1-4. ქოჯაელი — ბურსა 0-0, დენიზლი — სამსუნი 3-1, იეფთა — ტრაბზონი 1-4, იოზგათი — ანკარა 0-1, ბეშიქთაში — გაზიანთეფი 2-4, ადანა — რიზე 1-0, ათტალია — ფენერბახჩე 0-1. გალათასარაი, ბეშიქთაში, ტრაბზონი — 16-16, ფენერბახჩე — 15.

**ბელგია**
***I დივიზიონი. VIII ტური.*** სტანდარდი — ვესტერლო 5-3, ლუვიე — სენტ ტრიუდენი 1-0, ბეერსხოტი — აალსტი 2-0, ლიერსი — ჰარელბეკე 4-1, ლოკერენი — ბევერენი 1-1, ბრიუგე — მეხელენი 5-2, გენტი — ანტვერპენი 4-2, გენკი — ანდერლეხტი 1-1, ბრიუგე — 24, ანდერლეხტი — 20.

**საბერძნეთი**
***III ტური.*** იანინა — ქსანთი 1-1, ოლიმპიაკოსი — იონიკოსი 3-3, პანილიაკოსი — ოფი 0-0. აეკ — ეთნიკოსი 2-2, პანახაიკი — ათინაიკოსი 3-1, კალამატა — ირაკლისი 0-0, პანათინაიკოსი — არისი 2-2. ოლიმპიაკოსი, აეკ, პანათინაიკოსი, არისი — 7-7.

**პოლონეთი**
***IX ტური.*** გროცლინი — პოგონი 2-1, რაძიონკოვი — ოდრა 0-1, ვიძევი — გურნიკი 1-0, პლოცკი — შლიონსკი 2-1, ლეგია — სტომილი 2-1, ვისლა — კატოვიცე 3-1, ზაგლებიე — პოლონია 0-1, რუხი — ამიცა 3-1, ვისლა — 22, პოგონი — 20, ლეგია — 19.

**შოტლანდია**
***X ტური.*** დანდი — კილმარნოკი 0-0, სენტ ჯონსტონი — ჰიბერნიანი 0-3, სენტ მირენი — დანფერლმაინი 2-1, რეინჯერსი — დანდი იუნაიტედი 3-0, ჰაართსი — მოზერუელი 3-0, აბერდინი — სელტიკი 1-1. სელტიკი — 25, ჰიბერნიანი — 23, რეინჯერსი — 22.

**ჰოლანდია**
***VII ტური.*** სპარტა — ვილემი 1-2, გრონინგენი — პსვ ეინდჰოვენი 0-1, ვიტესი — უტრეხტი 2-1, ვაალვიკი — ტვენტე 1-1, როდა — ალკმაარი 4-2, გრააფსხაფი — ფეიენოორდი 2-3. ვიტესი — 16, ეინდჰოვენი, ბრედა — 13-13.

**რუსეთი**
ზენიტი — ლოკომოტივი 1-2 (ერთი გოლი ჯანაშიას ანგარიშზეა), ტორპედო — კრ. სოვეტოვი 2-1, ჩერნომორეცი — სპარტაკი 1-4, სატურნი — ფაკელი 0-0, დინამო — როტორი 2-0, ლოკომოტივი (ნ.ნ.) — ანჟი 1-2, როსტსელმაში — ურალანი 3-0, ალანია — ცსკა 2-1 (აშვეთიამ ორი გოლი გაიტანა). სპარტაკი — 61, ლოკომოტივი — 55, ანჟი — 47.

**შვეიცარია**
***A ჯგუფი. XIII ტური.*** ლუგანო — არაუ 1-1, ბაზელი — ქსამაქსი 5-1, გრასჰოპერსი — სიონი 5-0, ლუცერნი — სენტ გალენი 1-5, ივერდონი — ლოზანა 2-0, სერვეტი — ციურიხი 1-1, ლუგანო — 27, ლოზანა — 24.

## უეფას თასი

UEFA CUP

### ჯანაშიას გუნდი სლოვაკებს, ხოლო შოთა არველაძის — შვეიცარიელებს გადაეყარა

**შვეიცარიაში, უეფას შტაბბინაში გაიმართა უეფას თასის მეორე ეტაპის კენჭისყრა (26 ოქტომბერი — 9 ნოემბერი):**

ვერდერი (გერმანია) — გენკი (ბელგია)
ჰერტა (გერმანია) — ამიცა (პოლონეთი)
ვიტესი (ჰოლანდია) — ინტერი (იტალია)
ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — სელტა (ესპანეთი)
ოსიეკი (ხორვატია) — რაპიდი (ავსტრია)
ოფი (საბერძნეთი) — სლავია (ჩეხეთი)
აეკ (საბერძნეთი) — ჰერფიოლგე (დანია)
ბაზელი (შვეიცარია) — ფეიენოორდი (ჰოლანდია)
ჰალმსტადი (შვედეთი) — მიუნხენ-1860 (გერმანია)
პარმა (იტალია) — დინამო (ხორვატია)
ესპანიოლი (ესპანეთი) — გრაცერი (ავსტრია)
ლივერპული (ინგლისი) — ლიბერეცი (ჩეხეთი)
ლოზანა (შვეიცარია) — აიაქსი (ჰოლანდია)
პორტუ (პორტუგალია) — ვისლა (პოლონეთი)
ტიროლი (ავსტრია) — შტუტგარტი (გერმანია)
რაიო ვალეკანო (ესპანეთი) — ვიბორგი (დანია)
ნანტი (საფრანგეთი) — მტკ (უნგრეთი)
უდინეზე (იტალია) — პაოკ (საბერძნეთი)
რომა (იტალია) — ბოავიშტა (პორტუგალია)
ბორდო (საფრანგეთი) — სელტიკი (შოტლანდია)
ლოკომოტივი (რუსეთი) — ინტერი (სლოვაკეთი)
კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — ირაკლისი (საბერძნეთი)
ბრიუგე (ბელგია) — სენტ გალენი (შვეიცარია)
ლილესტრიომი (ნორვეგია) — ალავესი (ესპანეთი)


ანდრეი ტიხონოვი

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### რახან „ბენფიკა" უხეიროდ თამაშობს

წარსულში კარგად ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი იუპ ჰაინკესი მეტად მაღალი კლასის, ერუდირებულ მწვრთნელად ითვლება. სად აღარ უმუშავია, ამას წინათ კი გერმანიის ნაკრებში მწვრთნელობის ერთ-ერთ კანდიდატადაც კი დაასახელეს. ჰაინკესმა შორს დაიჭირა, ლისაბონის „ბენფიკასთან" ხელშეკრულება მაქვს და ვერ დავარღვევო. ეს განცხადება ივლისში გაკეთდა.

ჰაინკესმა ხელშეკრულება კი არ დაარღვია, მაგრამ ეს გაკეთა... „ბენფიკის" ხელმძღვანელობამ. გერმანელი სპეციალისტი გაანთავისუფლეს, რახან ახლა „ბენფიკა" უხეიროდ თამაშობს.

### სტამის არყოფნა დიდი დანაკლისია

„მანჩესტერ იუნაიტედისა" და ჰოლანდიის ნაკრების ცენტრალური მცველი იაპ სტამი სერიოზულად დაშავდა და ახლა ქუსლის ოპერაცია უნდა გაუკეთონ. იგი 3 თვეს ვერ გამოვა მინდორზე, რაც დიდი დანაკლისია არა მარტო მისი კლუბის, არამედ ჰოლანდიის ნაკრებისთვისაც.

### საბერძნეთი და თურქეთი შეთანხმდნენ

საბერძნეთისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა შეხვედრისას ილაპარაკეს ორივე ქვეყნის საერთო განაცხადის შედგენის შესახებ, რომელიც უეფას ხელმძღვანელობას უნდა წარუდგინონ. ეს ქვეყნები აპირებენ ერთობლივად ჩაატარონ ევროპის 2008 წლის პირველობა, თუმცა, როგორც ეტყობა, ამ შეჯიბრების გამართვის მსურველები სხვებიც იქნებიან.

### ტიხონოვმა დროებით დატოვა გუნდი?

მოსკოვის „სპარტაკის" მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს შორის დიდი აურზაური გამოიწვია კლუბის ახლა უკვე ყოფილი კაპიტნის ანდრეი ტიხონოვის ძირითადი შემადგენლობიდან გამოყვანამ.

ტიხონოვი, როგორც ტელეკომპანია ენტევეს ცნობილი კომენტატორი ვასილი უტკინი თვლის, შეიძლება არასოდეს ყოფილა დიდი ფეხბურთელი („არც დიდი სისწრაფე ჰქონია, არც გასაოცარი დრიბლინგი, ვერც მაღალი ბურთებისათვის ბრძოლაში „იმარჯვებდა"), მაგრამ ფეხბურთში მაინც ბევრი რამ შეეძლო და ამიტომაც მრავალი წლის განმავლობაში „სპარტაკის" ლიდერის როლსაც ასრულებდა. მას გაცილებით მეტი გოლი გაჰქონდა, ვიდრე, ასე ვთქვათ, ნახევარდაცვის მოთამაშეს შეეფერება, გულშემატკივრების ენთუზიაზმსა და ქომაგობას ხომ ნუ იტყვით... ტიხონოვი წლების განმავლობაში „სპარტაკის" მთავარ მწვრთნელ ოლეგ რომანცევის უახლოესი პიროვნება და თანაშემწე იყო, ახლა კი, მათ შორის, რომ იტყვიან, „შავმა კატამ" გაიარა. რა თქმა უნდა, იგი ახლა უარესად თამაშობს, ვიდრე შარშან, მაგრამ, გულშემატკივრების აზრით, არც იმდენად, რომ ძირითადი შემადგენლობა დაეტოვებინა.

ამ დღეებში რომანცევი და ტიხონოვი დახურულ კარს უკან შეხვდნენ ერთმანეთს და კარგა ხანს ისაუბრეს. რაზე ილაპარაკეს? ყოველ შემთხვევაში, გამოქვეყნდა ცნობა, რომ ანდრეი ტიხონოვმა დროებით დატოვა (ძირითადი შემადგენლობა კი არა!) გუნდი. ამასთან, სულაც არ არის ნათელი, როდემდე.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ნევიო სკალა: დუგანმა იტალიის მივლინებაც მოითხოვა, ჯანაშიას იქ უფრო დავაკვირდებით

**ამ ზაფხულს ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე მოსკოვის „ლოკომოტივი“ თურქულ „ბეშიქთაშს“ დაუპირისპირდა. სამხრეთელების უპირატესობა ორივე მატჩში აშკარა იყო — 3-0, 3-1. მაშინ რკინიგზელმა ფეხბურთელებმა, მათ შორის ქართველმა ლეგიონერმა ზაზა ჯანაშიამ, მაინცდამაინც კარგი პრესა არ დაიმსახურა. მიუხედავად ამისა, „ბეშიქთაშის“ იტალიელი მწვრთნელი ნევიო სკალა ჯანაშიათი დაინტერესდა, რასაც სტამბოლის გაზეთ „ფანატიკში“ დაბეჭდილი ინტერვიუ მოწმობს. გთავაზობთ მასალის იმ ნაწილს, სადაც სკალა ჯანაშიაზე ლაპარაკობს.**

● *სენიორ ნევიო, ამ დღეებში თქვენი თანაშემწე ზია დუგანი ბულგარეთში იმყოფებოდა. რა იყო ამის მიზეზი?*

— გულახდილად გეტყვით, ორი თვეა ყურადღებით ვაკვირდებით მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფორვარდ ზაზა ჯანაშიას. ასეთი „ტარანის“ ტიპის თავდამსხმელი „ბეშიქთაშისთვის“ მისწრება იქნება, მაგრამ...

● *რა, რუსებს ფასზე ვერ შეუთანხმდით?*

— არის ორი გარემოება, რომელიც აფერხებს ამ ტრანსფერს. მთავარი



ნევიო სკალა (მარჯვნივ) და ბეშიქთაშელები ნუმა და კარპანი

მიზეზი თავად ფეხბურთელისაგან გამომდინარეობს: მას სტაბილურობა აკლია — შეუძლია ერთი-ორი თამაში კარგად ჩაატაროს, მერე რამდენიმე „ჩააგდოს“. ამიტომ ვაკვირდებით ამდენ ხანს. ამას წინათ ჩემი ასისტენტი დუგანი ბულგარეთში იმიტომ გავაგზავნე, ჯანაშიას თამაში ენახა უეფას თასზე „ნეფტოქიმიკისა“ და „ლოკომოტივის“ მატჩში;

● *მერე, რა ამბავი ჩამოიტანა დუგანმა?*

— თქვენ წარმოიდგინეთ, არაფერი: მთელი 90 წუთი „ლოკომოტივი“ დაცვაში იდგა, ჯანაშიაც მოედნის ცენტრს თითქმის არ გადმოცილებულა, უფრო ნახევარმცველის ფუნქციებს ასრულებდა. ამიტომ იყო დუგანმა მთხოვა, 11 ოქტომბერს იტალიაში გამაგზავნე იტალია — საქართველოს მატჩზე დასასწრებად. ჯანაშიას ტრანსფერის ბედიც მაშინ გადაწყდება.

● *კიდევ რა მიზეზებია, ტრანსფერის განხორციელებას ხელს რომ უშლის?*

— რუსებმა ჯანაშიას ძალიან მაღალი ფასი დაადეს, თუმცა მათთან დაკლებაზეც შეიძლება ლაპარაკი. მთავარია, ჩვენ თვითონ გადავწყვიტოთ, გვჭირდება თუ არა ჯანაშია.

## ლუქსემბურგო მოხსნეს



**ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციის აღმასკომის საგანგებო სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება ვანდერლეი ლუქსემბურგოს (ფოტოზე) პირველი და ოლიმპიური ნაკრებების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან განთავისუფლების შესახებ. ეს მოსალოდნელი იყო მას შემდეგ, რაც ბრაზილიის ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდში პარაგვაისთან და ჩილესთან დამარცხდა. კონფედერაციის მოთმინების ფიალა კი სიდნეიში, ოლიმპიური გუნდის უსუსურმა გამოსვლამ აავსო — მეოთხედფინალში 9-კაციან კამერუნის გუნდთან ლუქსემბურგოს ბიჭებმა ფარ-ხმალი დაყარეს.**



დელ ბოსკეს მატჩის წინ სახუმარო განწყობილება აქვს

## ვისენტე დელ ბოსკე: ჩვენთან დიდი ცვლილებებია

**დღე არ გავა, რომ მადრიდის „რეალში“ რაღაც ცვლილება არ მოხდეს. ზოგიერთ საკითხში შეიძლება გულშემატკივარი გაერკვეს მის მწვრთნელ ვისენტე დელ ბოსკეს ბოლო ინტერვიუს შემდეგ.**

● *ამ რამდენიმე დღის წინ „რეალის“ ბანაკში ახალი ცვლილება მოხდა. გუნდი დატოვა ხოსე მარტინეს პირიმ, რომელსაც ტექნიკური დირექტორის პოსტი ეკავა. მთელი მისი შეგნებული ცხოვრება „რეალთან“ იყო დაკავშირებული. გასაგებია, ასეთ გადაწყვეტილებას იგი ისე იოლად ვერ მიიღებდა. მაინც რა მოხდა?*

— პირის გადადგომა ჩვენთვის დრამატული მოვლენაა. როცა იგი „რეალში“ მოვიდა, 19 წლის ჭაბუკი იყო, ახლა კი 55 წლისაა. თითქმის მთელი ეს დრო მან ჩვენს კლუბში გაატარა. 16 წელი, თუ არ ვცდები, მოთამაშე იყო, 12 — გუნდის ექიმი (მას სამედიცინო განათლება აქვს), 4 წელი — ტექნიკური დირექტორი. ჩვენ ძალიან დიდხანს ერთად ვთამაშობდით, 30 წელზე მეტია ვმეგობრობთ. „რეალი“ კი იმიტომ დატოვა, რომ ჩვენმა ახალმა პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა სექტემბრის დასაწყისში კლუბში ხორხე ვალდანი მოიწვია და იგი სპორტულ დირექტორად დანიშნა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას იგივე ამოცანების გადაწყვეტა დაეკისრა, რაც ადრე პირის ევალებოდა. წარმოიქმნა გაუგებარი სიტუაცია: ერთის მხრივ, ახალი კაცი მოიწვიეს, მეორე მხრივ კი პირის დათხოვნას არავინ აპირებდა. მას ეუბნებოდნენ, რომ სამუშაოს გამოუძებნიდნენ. მე ძალიან კარგად მესმის ჩემი მეგობრისა, რომელიც პირველ რიგში საკუთარ ღირსებას იცავს და აფასებს. გაუგებარია, რატომ მოუხმო პრეზიდენტმა ვალდანოს — მას ხომ პირისთან თითქოს კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ერთი სიტყვით, პირი იმიტომ წავიდა, რომ საკუთარი ღირსება შეინარჩუნა. მე არ ვიცი, შემდეგში რას გააკეთებს, მაგრამ სხვა კლუბში მუშაობა არა სურს, თუმცა 55 წელი პენსიისათვის ადრეა, იგი ძალღონით სავსეა. ყოველ შემთხვევაში, „რეალი“ ვალდებულია, კაცი, რომელმაც მისთვის ამდენი რამ გააკეთა, ღირსეულად გააცილოს.

● *ყველას აინტერესებს საკითხი „რეალის“ ვალების შესახებ. ამბობენ, იგი ისეთი დიდია, რომ ზუსტი რაოდენობის დასახელებაც კი ჭირს.*

— „რეალის“ ვალი, დოლარებზე გადაყვანით, 280 მილიონია. ეს ზუსტი თანხაა.

● *პერესს ძნელი ცხოვრება ელის. ეს ვალი სხვა პრეზიდენტებმა დააგროვეს, გადახდით კი მან უნდა გადაიხადოს. თანაც მალე, რადგან უეფა იმუქრება ვალის ამღებების ყველა შეჯიბრებიდან გაძევების ხმებიც კი გავრცელდა, რომ ამ ვალის დასაფარავად „რეალი“ თავის საწვრთნელი ბაზის გაყიდვასაც კი აპირებს რამდენად დასაჯერებელია ეს ხმები?*

— ჭორებია, სხვა არაფერი. ბაზის გაყიდვაზე არ არის ლაპარაკი. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, დაგეგმილია „რეალის“ საინტერნეტო საიტის გაყიდვა, რომელიც 60 მილიონი დოლარი ღირს. ამის თაობაზე ჩვენს პრეზიდენტს უკვე აქვს მოლაპარაკება ამერიკულ კომპანია „მაიკროსოფტთან“.

● *ზაფხულში „რეალს“ ხელფასების გადახდის პრობლემა შეექმნა. გადაწყვიტეთ თუ არა იგი?*

— ივლისში ფლორენტინო პერესმა საბანკო კრედიტი აიღო. ამის გამო ყველა მოთამაშეს წლის ბოლომდე გადაუხდიან ხელფასს.

● *როგორ იმოქმედებს ეს ფინანსური კრიზისი კლუბის სატრანსფერო პოლიტიკაზე? მწყობრიდან გამოვიდა ფერნანდო მორიენტესი. კიდევ რამდენ ხანს იმკურნალებს?*

— ასე, ერთ თვეს.

● *სანამ იგი არ იქნება, ვინმემ ხომ უნდა შეცვალოს. მოგცემთ თუ არა ხელმძღვანელობა ფულის დამატებითი ხარჯვის ნებას?*

— გენერალური ხაზი ასეთია: თუ ვინმეს ვყიდულობთ, სხვა მოთამაშე უნდა გავყიდოთ კიდეც. ჩვენ ახლა გვაქვს მოლაპარაკება „ლაციოსთან“ მარსელო სალასის ყიდვის შესახებ. ამ თანხას კი სავიოს გაყიდვის შედეგად მივიღებთ.

● *სალასს ექნება კი უფლება ითამაშოს „რეალის“ სახელით ჩემპიონთა ლიგაში?*

— სანამ „ლაციოში“ არ უთამაშია, აქვს ასეთი უფლება. დონეცკის „შახტიორთან“ პირველ ტურში იგი განაცხადში არ იყო.

● *ექვივალენტურნი კი არიან ფასის მიხედვით ეს მოთამაშეები?*

— თუ რაღაც მცირეოდენი „მინუსი“ შეგვექმნება, ეს სახიფათო არ არის. მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ ამ ოპერაციის ჩატარება საკმაოდ პრობლემატურია. „ლაციოს“ სალასში 30 მილიონი დოლარის მიღება სურს, „ჩელსი“ კი სავიოში მხოლოდ 12 მილიონ დოლარს გვთავაზობს, რასაც პერესი და ვალდანი კატეგორიულად არ ეთანხმებიან. თვით სავიოსათვის კი „ჩელსში“ გადასვლა ხელსაყრელი იქნებოდა, იმიტომ, რომ ჩვენთან წელიწადში ერთ მილიონ დოლარ ხელფასს იღებს, ინგლისში კი ორს მიიღებს. იმის გამო, რომ „ჩელსის“ არ სურს სატრანსფერო თანხის გაზრდა, მოგვიხდება სხვა მყიდველების მონახვა.

● *მაინც რატომ არ გეხატებათ გულზე ეს სავიო?*

— მე გულზე ძალიანაც მეხატება. მეტსაც ვიტყვი — სხვა კლუბის ფორმაში პირადად ვერც კი წარმომიდგენია. იგი სულით და გულით ჩვენი მოთამაშეა, გუნდში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამასთან, მე ხომ არ განვაპირობებ კლუბის სატრანსფერო პოლიტიკას — ამას ზემდგომი ადამიანები წარმართავენ. თუ ჩვენ გვჭირდება სალასის ტიპის ცენტრფორვარდი, ამისათვის სავიოს მსხვერპლად მიტანაა საჭირო.

● *„მალაგას“ წინააღმდეგ არ უთამაშია კლუბის ერთ-ერთ ახალწვეულს — ფლავიო კონსეისაოს. რასთან იყო ეს დაკავშირებული?*

— იგი ჯერ კიდევ ვერ შეეჩვია თავის პარტნიორებს. ამას თვითონაც გრძნობს და აღიარებს. გარდა ამისა, დღეისათვის მისი ფიზიკური მზადყოფნა არასაკმარისია. ჯერ ივარჯიშოს, როცა მისი ფიზიკური და ტაქტიკური კონდიციები გაუმჯობესდება, მაშინ გამოვა მინდორზე.

მოამზადა
**ბიჩი თორელმა**

## როცა „კოდინო“ არ თამაშობდა

ფეხბურთის გულშემატკივრებმა კარგად იციან, ვის ჰქვია „კოდინო“ („პატარა კუდი“). მართალია, რობერტო ბაჯო ახლა უკან თმას აღარ იწნავს, მაგრამ ეს სახელი მაინც დარჩა. რობერტო იმ მეტად მცირერიცხოვან ფეხბურთელებს მიეკუთვნება, რომლებსაც გულშემატკივრებისათვის ნამდვილად ვირტუოზული თამაშით სიხარული მოაქვთ. დიახ, საფეხბურთო მინდორზე ნამდვილი მებრძოლი ბევრია, ბევრი შტანგასაც ბაჯოზე მეტს სწევს, უკეთესი ტესტიც შეიძლება ბევრს ჰქონდეს, მაგრამ საკითხავია, რამდენს შეუძლია თუნდაც დიდ ფეხბურთში „კოდინოსავით“ ლამაზად, მოხდენილად, და, თუ გნებავთ, შედეგიანად თამაში.

დიდი ფეხბურთელები ამა თუ იმ მიზეზით, როგორც ცნობილია, ძნელად ასატანი ხალხია. ბაჯომ, რომელმაც, შეიძლება ითქვას, იტალიელებს 1994 წელს მათთვის ძალიან მაღალი (სამართალიც ხომ არსებობს!) ვერცხლის მედლები მოუტანა, შემდეგ ბევრი მწვრთნელი გადაიკიდა. მერე მსოფლიოს მომდევნო ჩემპიონატშიც ითამაშა და არცთუ ურიგოდ, თუმცა ჩეზარე მალდინის უიმედო გუნდს რა უშველიდა.

აი 1999-2000 წლების სეზონი კი თითქმის გააცდინა. რატომ არ უნდა ეთამაშა სახსალამათ და თანაც ასეთი შესაძლებლობის მქონე ოსტატს? საქმე ის არის, რომ, როცა ბაჯო „იუვენტუსში“ თამაშობდა, ამ კლუბში მეტად ამბიციური მარჩელო ლიპი მივიდა. ლიპისა და ბაჯოს შორის უთანხმოება დაიწყო, თუმცა არც ერთი მხარე საჯაროდ არაფერს ამბობდა. ლიპიმ „კოდინოს“ ახალგაზრდა და მართლაც პერსპექტიული ალესანდრო დელ პიერო დაუპირისპირა. არა, დელ პიერო ბაჯოს როგორ სჯობდა, რა სათქმელია, მაგრამ მასთან ერთი უპირატესობა ნამდვილად აქვს — იგი რამდენიმე წლით უფრო ახალგაზრდაა.

რობერტო ბაჯომ უყურა ამ ბოლმიან მარჩელო ლიპის, უყურა და „ინტერში“ გადავიდა. იყო პერიოდი, როცა ამ კლუბში ბრწყინავდა (რაც იმას ნიშნავს, რომ მთელი ძალით თამაშობდა), ხან კი დაშავდებოდა და კარგა ხნით ისვენებდა. ასე იყო თუ ისე, რობერტოს „ინტერში“ ისე აფასებდნენ, რომ, როცა თამაშს დაამთავრებდა, კლუბში რაიმე თანამდებობაზე სამუდამოდ დარჩენაც კი შესთავაზეს. ბაჯომ ასე უპასუხა, ჯერ რაიმე თანამდებობაზე არც კი ვფიქრობო. მართლაცდა, რა სჯობს ასეთ „თანამდებობას“ — მინდორზე ნავარდობს და გოლების გატანას.

1999-2000 წლების სეზონი „კოდინოსათვის“ მართლაცდა მეტად უიღბლოდ წარიმართა. საქმე ის არის, რომ რობერტოსთან ასე გადაკიდებულმა მარჩელო ლიპიმ მას ახლა „ინტერში“ „მიაკითხა“. ამაზე იტყვის ქართველი: „არ ველოდი ლოლოსაო, დამხვდა ღობის ბოლოსაო“. ახალი მწვრთნელი ლიპი „ინტერის“ მეპატრონეს საზეიმოდ დაჰპირდა პირველ ადგილს (მაშ, „ლაციო“ იგივე „იუვენტუსი“ და „მილანი“ აღარაფერი ყოფილან!) და იმით დაიწყო, რომ ბაჯო... თამაშებს ჩამოაცილა. მას ვიერისა და რონალდოს იმედი ჰქონდა, ისე კი, არც ერთი გამოადგა და არც მეორე. ბაჯო კი სათადარიგოთა სკამზე იჯდა და თავდასხმაში მოთამაშე სამორანოსა და რეკობას უყურებდა. რა თქმა უნდა, შესანიშნავი ოსტატებია, მაგრამ ვინ დაამტკიცა, რომ ისინი რ. ბაჯოზე უკეთესნი არიან, როცა ხანდახან მაინც რობერტო თამაშობდა, განა იგი საუკეთესო არ იყო?



რა თქმა უნდა, „ინტერი“ პირველ ადგილზე ვერ გავიდა. ის კი არა, ჩემპიონთა თასზე გამოსვლის უფლებისათვის „პარმასთან“ დამატებითი მატჩის გამართვაც კი მოუხდა. რახან სხვა თავდამსხმელები არა ჰყავდა, მეტი რაღა ჯანი იყო, ლიპიმ მინდორზე ისევ ბაჯო გამოიყვანა, რომლის ორმა გოლმა მატჩის ბედი გადაწყვიტა კიდეც. გასაგებია, ბაჯო ბაჯოდ რჩებოდა! ევროპის პირველობაზე დინო ძოფს ბაჯო არ წაუყვანია (გასამართლებელი ის ჰქონდა, რომ სათამაშო პრაქტიკა არა აქვსო — ფორმალურად სწორი იყო), თუმცა იქ, იტალიელი მომომხილველის აზრით, ძალიან გამოადგებოდა.

ამასობაში ბაჯოს ხელშეკრულების ვადა დაუმთავრდა. ვინ აღარ იწვევდა! იფიქრა, იფიქრა და „ბრეშოა“ აირჩია, რომელთანაც ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ახლა უკვე აღარ აფიქრებს ყოველი მატჩის წინ ითამაშებს თუ არა. მიზანი კი ერთი და კონკრეტული აქვს — აუცილებლად მიიღოს მონაწილეობა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატში. ისე კი, აცხადებს, რომ ძალა ნამდვილად შესწევს. ეს კი მარჩელო ლიპის „დამარხვის“ დარი რამ იქნება.

**ბიჩი გამრეკელი**

# პირად-გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი — ჩვენების წარმატება

**წლის საჭადრაკო კალენდარში საპატიო ადგილი უჭირავს სტუდენტთა პირად-გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატს. დებულების თანახმად მასში მონაწილეობა შეუძლიათ მოჭადრაკეებს, რომელთა ასაკი 26 წელს არ აღემატება. ჩემპიონატი, როგორც „ლელოს“ მკითხველებმა იციან, ამჯერად ბულგარეთის ქალაქ ვარნაში ჩატარდა.**

**მის შესახებ ვესაუბრებით დიდოსტატ მაია ლომინეიშვილს:**

● *თუ შეიძლება ჯერ მოკლედ გვითხარით ამ შეჯიბრების ჩატარების სისტემის შესახებ. პირად შეჯიბრებაში გამარჯვებული შვეიცარიული სისტემით კი ირკვევა, მაგრამ გუნდური ჩემპიონი როგორღა ვლინდება?*

— ჯამდება ყველა გუნდში ქალის ერთი და ვაჟთა ორი საუკეთესო შედეგები. ერთი სიტყვით, ყველა მონაწილემ დიდი პასუხისმგებლობით და დაძაბულად უნდა ითამაშოს, იგი ხომ ფაქტობრივად „ორ ფრონტზე“ გამოდის.

● *როგორ წარიმართა პირადი პირველობები?*

— ქალები 9 ტურს ვთამაშობდით. ჩემი მომზადება ამჯერად კარგი იყო. 7,5 ქულა მოვაგროვე, იმდენივე, რამდენიც რუსმა დიდოსტატმა ეკატერინა პოლოვნიკოვამ. უკეთესი დამატებითი მონაცემების გამო მსოფლიო ჩემპიონის წოდება მე მერგო.

● *სულით და გულით გილოცავთ. ის კი საწყენია, რომ მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი ნოკაუტ-სისტემით უთქვენოდ ჩაივლის. მონაწილეობის რაიმე იმედი არ არის?*

— ეტყობა, არა. რა ვუყოთ. ახლა ვაჟთა პირად პირველობაზე მოგახსენებთ. აქ 7 ქულით გაიმარჯვა რუსმა დიდოსტატმა ფილიპოვმა, 6,5 ქულით მეორე იყო ზუბარევი (უკრაინა). ჩვენმა დიდოსტატებმა გიგა ყაჭეიშვილმა და თამაზ გელაშვილმა 6-6 ქულით მესამე-მეხუთე ადგილები გაიყვეს. ამდენივე ქულით მესამე პრიზი რუს ტუროვს დარჩა.

● *შემდეგ კი ქულების შეჯამების დრო დადგა.*

— დიახ, 20,5 ქულით პირველი ადგილი რუსეთის ნაკრებს დარჩა, რომელიც ძლიერი, ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილი დიდოსტატებისაგან შედგებოდა. მეორე ადგილი ჩვენმა ნაკრებმა მოიპოვა (19,5 ქულა), რაც უდავოდ, კარგი შედეგია.

გისურვებთ შემდგომ ახალ წარმატებებს, ეს იქნება მსოფლიო პირველობაზე, მსოფლიო თასზე თუ გუნდურ შეჯიბრებებზე. ახლა იმდენი საინტერესო შეჯიბრება ტარდება, რომ თვალყურის დევნებაც კი ძნელია. მაია, თქვენ ადექით და ყველაზე ძლიერი ტურნირები ამოარჩიეთ.

ესაუბრა ბიჯი თორელი



*მაია ლომინეიშვილი*

# ამერიკული მასმედია ოლიმპიადის შესახებ

ამერიკული ჟურნალ-გაზეთები გაცხოველებით აანალიზებენ განვლილი ოლიმპიური თამაშების შედეგებს. განსაკუთრებით გამოყოფენ კალათბურთელთა ნახევარფინალურ მატჩს აშშ-სა და ლიტვის ნაკრებებს შორის. მხოლოდ მატჩის ბოლო წამებზე შეძლეს ნბა-ს პროფესიონალებმა გამარჯვების მოპოვება 82:80, რეი ალენმა განაცხადა: „ეს შეხვედრა რომ წაგვეგო, არ ვიცი, როგორ შევხედავდით თვალებში ახლობლებსა და ნათესავებს“. ანტონიო მაკ დეისმა კი თქვა: „წაგების შემთხვევაში, ამერიკაში ჩუმად ჩავიდოდი და სახლში შეუმჩნევლად შევიპარებოდი. რამდენიმე დღეს იქიდან სირცხვილით გარეთ არ გამოვიდოდი“. ჯეისონ კიდი კი უფრო თვითკრიტიკული იყო: „შტატებში საერთოდ არ ჩავიდოდი, რათა უფრო შორს არ გავეგზავნე ხალხს“.

# კაპრიატის გამარჯვებით...

გუშინ ლუქსემბურგში დასრულდა ჩოგბურთელ ქალთა ტურნირი. გაიმარჯვა ამერიკელმა ჯენიფერ კაპრიატიმ, რომელმაც ფინალში სძლია ბულგარელ მაგდალენა მალეევას 4:6, 6:1, 6:4. ამ გამარჯვებით კაპრიატიმ ქალთა რეიტინგში მე-18 ადგილზე გადაინაცვლა. ტურნირის საპრიზო ფონდმა 170 ათასი დოლარი შეადგინა.



*სურათზე: ჯენიფერ კაპრიატი*

## ჭადრაკი

# არც ერთი ჩემპიონატი უმედლოდ!




**ცნობილი ქართველი დიდოსტატი თამარ ხმიადაშვილი სისტემატურად მონაწილეობს ვეტერანთა მსოფლიო ჩემპიონატებში და ასევე სისტემატურად მოიპოვებს ხოლმე რომელიმე (მაღალი!) სინჯის მედალს.**

**ჩვენ ვესაუბრეთ თამარ ხმიადაშვილს.**

● *თამარ! სულ რამდენჯერ ითამაშეთ მსოფლიო ჩემპიონატში?*

— ამჯერად პოლონეთის ქალაქ როკში უკვე მეექვსედ.

● *შედეგი მართლაც განსაცვიფრებელია. არც ერთხელ არ დარჩენილხართ უმედლოდ. ორჯერ მსოფლიო ჩემპიონი გახდით, რისთვისაც მიიღეთ დიდოსტატის წოდება. ამას ოთხი ვერცხლის მედალი უნდა დავუმატოთ. შემადგენლობები კი ყოველთვის მეტად ძლიერია.*

— დიახ, ერთხელ თვით ნონა გაფრინდაშვილმაც კი ითამაშა, რომელსაც. გაკვირვებულმა ტატიანა ზატულოვსკაიამ უთხრა: „განა ოქროს მედლები გაკლდა, აქ სათამაშოდ რომ ჩამოხვედი?“ ნონა მართლაც პირველ ადგილზე გავიდა. სისტემატურად მონაწილეობენ ტატიანა ზატულოვსკაია, ელენა ფატალიბეკოვა და საზღვარგარეთის სხვა უძლიერესი მოჭადრაკეები.

● *ამჯერად რამდენი მოჭადრაკე გამოდიოდა?*

— 22. შვეიცარული სისტემით, 11 ტურად. 9 ქულა მოვაგროვე, ამდენივე ჰქონდა ელენა ფატალიბეკოვას. იგი მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონ ოლგა რუბცოვას შვილია. საქმე დამატებითი მაჩვენებლებამდე მივიდა, ის კი ელენას უკეთესი აღმოაჩნდა. ისე რომ, ამჯერად მეორე ადგილი დამრჩა. მესამე 7,5 ქულით დიდოსტატი ვალენტინა კოზლოვსკაია იყო. ამავე დროს პარალელურად მიმდინარეობდა მსოფლიო ჩემპიონატი ვეტერან ვაჟთა შორის, იმავე სისტემით, ასევე 11 ტურად. იგი, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი შედეგით დასრულდა. საქმე ის არის, რომ თუმცა შეჯიბრებაში არაერთი ცნობილი დიდოსტატი მონაწილეობდა, 8,5 ქულით გაიმარჯვა ოსტატმა ოლეგ ჩერნიკოვმა (რუსეთი). იგი ასეთ ასპარეზობაში პირველად თამაშობდა. ამდენივე ქულა, მაგრამ უარესი მაჩვენებლით მოაგროვა ლატვიელმა დიდოსტატმა იანის კლოვანმა, რომელსაც ადრე უკვე ჰქონდა მსოფლიო ჩემპიონის წოდება. 8 ქულით მესამე იყო ცნობილი სანკტპეტერბურგელი დიდოსტატი მარკ ტაიმანოვი. მას ძალიან უყვარს ამ ჩემპიონატში მონაწილეობა. პოლონეთში ორი ჩვენი მოჭადრაკეც თამაშობდა — დიდოსტატმა ბუხუტი გურგენიძემ 7 ქულით დაასრულა შეჯიბრება, ოსტატმა მერაბ თხელიძემ კი 5,5 ქულა მოაგროვა.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**3 ოქტომბერი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩვენი ფეხბურთი (10.25), ***კავკასია*** „მსოფლიო სპორტი“ (18.00), „ვარსკვლავები“ (21.00), ***НТВ плюс футбол.*** ევროპის ქვეყნების ჩემპიონატები და მიმოხილვა: ესპანეთის (13.55, 21.30), გერმანიის (15.35, 1.05), ინგლისის (17.15, 22.00), რუსეთის (18.55), საფრანგეთის (23.20), ***НТВ плюс спорт.*** ოლიმპიური თამაშების ოქროს გაელვება სიდნეიში (22.20), ***ESPN.*** იტალიის საფეხბურთო მიმოხილვა (6.00); „იუვენტუსი“ – „ნაპოლი“ (20.00), ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (7.30), ***EUROSPORT.*** სიდნეიში ოლიმპიურ თამაშებზე (12.30, 17.30), ფეხბურთი. ევროგოლები (15.00), სუმო. გრანდ-ტურნირი (19.30), ავტორბოლა. ევროპის თასი, იტალიიდან (22.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (0.00).

**4 ოქტომბერი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ოვერტაიმი (14.40), ***რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (15.15), ***კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი“ (18.00), „ვარსკვლავები“ (21.00), მე-9 არხ. ევროპის სტადიონებზე (11.35, 20.10), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონატები და მიმოხილვა. რუსეთის (13.15, 18.35), საფრანგეთისა (16.50), ბრაზილიის (19.35, 21.15), მინიფეხბურთი (20.05), ოლიმპიური თამაშების ოქროს გაელვება სიდნეიში (11.40, 22.00), ***ESPN.*** ფეხბურთი. „მანჩესტერ იუნაიტედი“ – „არსენალი“ (20.00), ***EUROSPORT.*** ავტორბოლა. ევროპის თასი (11.30), ოლიმპიური თამაშები სიდნეიში (12.30, 17.30), ცხენოსნობა. ეროვნებათა თასი (15.00), ფეხბურთი: საფრანგეთიდან (23.30), „მსოფლიო-20002“-ის თასზე შესახვედრად (0.00).

**5 ოქტომბერი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** რაგბის მოყვარულთათვის (20.50), ***კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი“ (18.00), „ვარსკვლავები“ (21.00), მე-9 არხი „ევროპის სტადიონებზე“ (10.25), ***НТВ плюс футбол.*** მსოფლიო ქვეყნების ჩემპიონატები და მიმოხილვა: ბრაზილიის, იტალიის და ესპანეთის (13.15, 15.00, 15.40, 20.15, 0.55), ***НТВ плюс спорт.*** ოლიმპიური თამაშების ოქროს გაელვება სიდნეიში (14.30, 22.30). ფეხბურთი, საფრანგეთიდან (16.00), ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა, მიმოხილვა (21.00), ***EUROSPORT.*** სიდნეიში ოლიმპიურ თამაშებზე (12.30), ფეხბურთი საფრანგეთიდან: (16.00), „მსოფლიო-2002“-ის თასზე შესახვედრად (17.30), მოტორბოლა, გრან-პრი (19.30), მძლეოსნობა. გრან-პრის ფინალი, კატარიდან (22.15).

# ფორმულა-1: ორი რბოლაღა დარჩა

2000 წლის ფორმულა-1-ის მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებამდე ორი რბოლაღა დარჩა – იაპონიის დიდი პრიზი (8 ოქტომბერი) და მალაიზიის დიდი პრიზი (22 ოქტომბერი). მიუხედავად ამისა, ჩემპიონი ამ კვირის ბოლოს შეიძლება გაირკვეს: ეს იმ შემთხვევაში, თუ გერმანელი პილოტი ***მიხაელ შუმახერი*** შეინარჩუნებს რვაქულიან უპირატესობას ფინელ მიკა ჰაკინენთან.



ბოლო წლებში რჩეული სპორტსმენების ვინაობა იაპონიაში, „სუძუკაზე“ ირკვეოდა ხოლმე, ორი წელია ამას ჰაკინენი ახერხებს.

*სურათზე: ჰაკინენი (მარცხნივ) და შუმახერი.*

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი



შამათი 2 სვლაში

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

**1. ეb6! მუქარა 2. კe6X.**
**1. ...8c7 2. ლ:b7X. 1. ...8:c5 2. 8b4X.**
**1. ...8d4 2. e4X. 1. ...8f4 2. ე:e5X.**
**1. ...ე:f6 2. 8:f6X. 1. ...ეe7 2. ეd6X.**
**1. ...ე:f3 2. კ:f3X. 1. ...კd6 2. ე:d6X.**

## ჩაწერეთ საქართველოს ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში (1990-2000 წ.წ.) მონაწილე გუნდები




თარაზულად: 5. თიანეთის გუნდი, 7. ქუთაისის, 8. თერჯოლის, 10. დედოფლისწყაროს, 12. დუშეთის, 13. ხობისა და ფოთის, 14. ქუთაისის, 15. ლანჩხუთის, 18. ცხინვალის, 20. აბაშის, 22. ასპინძის, 25. წალენჯიხის, 27. ქვემო ქართლის, 28. ქინვალის, 30. თბილისის, 31. ქუთაისის, 33. თბილისის, 34. ზუგდიდის, 36. ონის, 37. ახმეტის, 39. თბილისის, 41. სამტრედიის, 42. კასპის, 45. თბილისის, 46. ხონის, 48. თბილისის, 49. ქობულეთის, 50-51 ქუთაისის. შვეულად: 1. სართიჭალის, 2. წყალტუბოს, 3. ბორჯომის, 4. ოზურგეთის, 5. ტყვარჩელის, 6-9. თბილისის, 11. ხაშურის, 15. რუსთავის, 16. გურჯაანის, 17. ზუგდიდის, 19. ქარელის, 21. ნაფარეულის, 23. სართიჭალის, 24. ოჩამჩირის, 26. ქუთაისის, 29. ხელვაჩაურის, 30. მარნეულის, 32. ზესტაფონის, 35. ხარაგოულის, 38. წნორის, 40. ქვემო ქართლის, 43. ზუგდიდის, 44. ვანის, 47. სოხუმის.

## კროსვორდი №76-ის პასუხები:

თარაზულად: 1. ნარსია, 2. ქედია, 7. ხურცილავა, 9. სერგო, 10. გავაშელი, 11. მესხი, 13. თავაძე, 14. ძოძუაშვილი, 17. ცაავა, 18. აფშევი, 20. მუჯირი, 21. ჭილაია, 22. ალოვი, 23. ჟორდანია, 24. გაბელია, 25. ქორიძე, 26. პელე, 28. ქორქიკაშვილი, 30. „პუმა“, 32. კაჩალინი. 33. კოსტავა, 34. კალაძე, 35. სიჭინავა, 36. ყიფიანი. შვეულად: 1. ნოდია, 3. „ბასა“, 4. ცხოვრებოვი, 5. ურუშაძე, 6. გოგია, 8. რეხვიაშვილი, 12. ბარქაია, 15. ასათიანი, 16. დურდიაძე, 19. ჩივაძე, 25. ქიქავა, 26. პაპიძე, 27. ლომაია, 29. „ვაკე“, 31. ბესტი.

მთავარი რედაქტორის მაგიერ ჯემალ ჭიკაშვილი

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.